


ତାର୍ଗମନି ୧. ଶାର୍କାଦିଶା

ԳՈԼՈՎԵԹՅՈՒՆ



ତ୍ୟଗଳିବୁ


სტამბა პ. შარაძისა და ამხანაგობისა, ნიკოლოვოზის ქ. № 21.
1893

1893




ԳՈԼՈՎԵՐԴՅՈՒՆ

ବୁଦ୍ଧିମତ୍ତ୍ୟାନୀ



თარგმანი მ. შარობისა მესამე გამოცემა მ. შარობისადან მხ. სტატისტიკური
ტყილის 1899 წ.

Дозволено цензурою. Тифлисъ 7-го Июня 1899 года



ଓଡ଼ିଆରେ ପ୍ରକାଶିତ ଲେଖନାଟି.

 თკრატი იყო ბერძენთა ტომისა და ლაიბალა ქალაქს ათინაში. მამა მისი ქვის ოსტატი იყო, დედა-კი — ბებია ქალი.

— დედა ჩემიო, — იტყოდა ხოლმე სოკრატი,
თავისის ხელობით მშობიარე ქალთ გემარებოდა; მეც
ჩემის სწავლითა, დაკვირვებით და გამოცდილებით
მინდა დავეხმარო როგორმე ხალხს.

მამამ სოკრატე ჯერ თავისი ხელობა დასწავლა, მერმე სასწავლებელში მიაბარა და უმაღლესი სწავლაც დაამთავრებინა. იმ დროს ათინაში ერთი უსწავლელი კაციც არ მოიძებნებოდა და მრავალ-გვარი სასწავლებელიც იყო დაარსებული. იყო ისეთი სასწავლებელიც, საღაც ღარიბებს გარედ, ქვიშაზე ჩხირებით აწერინებდნენ და ისე ასწავლიდნენ წერა-კითხვას.

სოკრატი პატარაობითვე ყველაფერში ნიჭიერი იყო. სწავლაშიაც დიდი ნიჭი და ხალისი გამოიჩინა. სწავლა რომ გაათავა, გადაიკითხა ყველა საუკეთე-სო ნაწერები და სახლში დაბრუნდა. სახლში ისევ ქვის მთლელობას მიჰყო ხელი და დიდის ხალისი-თაც მუშაობდა. მხოლოდ მუშაობის დროს ლრმად დაფიქრება იცოდა.

ეს ფიქრი-კი ის იყო, რომ საც ჩვენში ასწავლიან, ყველაფერი ვისწავლე და ის-კი ვერ გავიგე, თუ კაცმა როგორ უნდა იცხოვ-როსო. ჩემთვისაც და სხვებისთვისაც უფრო ამისი გავება და შეტყობაა საჭირო და სასარგებლო. იმის-თანა რასმესაც ვსწავლობთ, რომელიც არაფერში გამოგვადგება. აი თუნდ რომ გავიგოთ, ცაზე რამდენი ვარსკლავია და ზღვაში რამდენი წვეთი, რა შეგვეძლება ამითი? ყველანი თავისს სიკეთესა ვართ მოწადინებულნი და სიკეთის მაგიტ უფრო ბო-როტს ვამთხვევთ ჩვენს თავსვე. ეს იმიტომ, რომ არ ვიცით, რა არის კეთილი და ნამდვილად სასარ-გებლო კაცისათვის. აი, მე ხომ ნასწავლი ვარ და რომ მკითხონ, კაცმა როგორ უნდა იცხოვროსო, ვერაფერს ვერ ვუპასუხებ. ჩემის სწავლით მხოლოდ ის შევიგნე, რომ ჩვენი ამოდენი სწავლა სულ უქ-მი და უნაყოფო ყოფილა. სანამ ვისწავლიდი რასმე, ჩემი თავი დიდ შცოდნებ მიმაჩნდა, ეხლა-კი დავრ-წმუნდი, რომ არაფერი მცოდნია.

— სასწავლებელში მეუბნებოდნენ, რომ და მიანი ღმერთებმა გააჩინაო და ვინც იმათ ნებისად იცხოვრებს, იმათვან ჯილდოს მიიღებსო, ხოლო ვინც არა, — დაისჯებაო. მერე როგორს ცხოვრებას თხოუ-ლობენ ჩვენგან ღმერთები?

ბერძნები იმ დროს მრავალს ღმერთებს აღია-რებდნენ. ერთს უწოდებდნენ ცისას და ყველაზე უფროსად მიაჩნდათ, მეორეს — ზღვისას, მესამეს — ქა-

რისას, მეოთხეს — მთვარისას, მეხუთეს — ომისას და მეექვსეს — შვებისა და სიხარულისას. აღიარებდნენ აგრეთვე ქალ-ლმერთებსაც; მაგალითად: ქალ-ლმერთას სიბრძნისას, მიწის მოსავლისას, ხელოთ-საქმისას და სხვას. იმათი წერილი ამბობდა, რომ ეს ლმერთები ისე სკეოვრობენ, როგორც ქვეყანზე აღამიანები; ერთმანეთს მტრობენ და ხალხსაც ემტერებიან. ისიც ეწერა, რომ ერთმა მათგანმა, სახელად ზევსმა, თავისი მამა ციდგან ჯოჯოხეთში გადმოადგო და თვითონ გამეფდაო. ერთხელ თავისს ცოლსაც-კი წაეჩინება და მოატყუაო.

— არაო, — სთქვა სოკრატმა, — მაგათ ლმერთობისა არა ეტყობათ რა; ისეთი სუსტნი ყოფილან, როგორც ჩვენ. მათგან კაცი ვერაფერს სიკეთეს ვერ ისწავლის, რადგან თვითონვე უკუღმართობენ და უსამართლოდ იქცევიან. ნამდვილი და ჭეშმარიტი ლმერთი თვითონვე უნდა იყოს მართალი და წმიდა, რომ კაცმა იმისაგან ისწავლოს სრმართლე და წესიერი ცხოვრებაო.

სოკრატმა დაუწყო ძიება ამისთანა ლმერთს; რამდენიმე წელიწადი თავს მოსვენებას არ აძლევდა; იძიებდა და იკვლევდა ჭეშმარიტს ლმერთს და რასაც ეძებდა, ჰპოვა კიდეც და აი როგორ: ჭეშმარიტი ლვთის ძიების დროს სოკრატი ყურს უგდებდა სინდისსა და იშის რჩევას. როცა რისამე გაკეთება უნდოდა, ჯერ სინდისს დაეკითხებოდა და თუ მოუწონებდა, მხოლოდ მაშინ გააკეთებდა. სოკრატმა

დიღხანს მისდია ამ გვარს სინდისის რჩევას და ბოლოს დარწმუნდა კიდევ, რომ იგი ერთად ერთი უტყუარი მრჩეველია კაცისა ყველაფერს საჭმეში.

— ეს ხმა, — სთქვა სოკრატმა — ყველაფერს კარგს მირჩევს და მასწავლის. მასწავლის სწორსა და სამართლიანს ცხოვრებას. მერე ვისი უნდა იყოს ეს ხმა? მევე ხომ არ ველაპარაკები ჩემს თავს? ცხადია, რომ აქ სხვა ვინმე მელაპარაკება და მირჩევს, და აი სწორედ ეს უნდა იყოს ჭეშმარიტი ღმერთიც. ამ ხმამ ყველაფერს მიმახვდინა; გამაგებინა ისიც, თუ როგორ უნდა იცხოვროს კაცმა. მხოლოდ არ კმარა, რომ მარტო მევიცოდე, საჭიროა სხვებსაც გაუზიარო. ძნელიც არ არის,. ყველას შეუძლია მისწვდეს და გაიგოს. დიდს სიკეთესაც შესძენს ადამიანს ამისი შეტყობა და გაგება. კაცმა ავისა და კარგის გარჩევა იცოდეს, ცუდი შეიძულოს და კარგი შეითვისოს, ამაზე უკეთესი რაღა იქნება!

სოკრატმა თავისი აზრი პირველად ცოლს გაუზიარა და უთხრა: ღმერთი გამომეცხადა და მინდახალხს ვუქადაგოვო.

— რის ღმერთი და რის ქადაგება, — უპასუხა ცოლმა, — მაგისი მქადაგებელი უშენოდაც ბევრია. შენ ქადაგებას დაიწყებ, მუშაობაზე ხელს აიღებ და მერე ჩვენ ხომ შიმშილით ამოვწყდებით.

ცოლის სიტყვას სოკრატმა ყური არ ათხოვა. ხალხმა ცხოვრება არ იცოდა, სიღარიბით იტანჯებოდა და იმის შველას ეშურებოდა.

სოკრატის დრომდე ბერძნები კარგად და შეძლებულად სცხოვრობდნენ. ეს იმიტომ, რომ საქმეს არ უკადრისობდნენ, ყველა თავისის ხელით მუშაობდა და ამასთან მიწაც ნაყოფიერი იყო. მდიდარი, ღარიბი, ბატონი და მოსამსახურე იმათ არ იცოდნენ და ყველას ძმურად და თანასწორად უყურებდნენ. ბოლოს ომიანობას მიჰყვეს ხელი, მეზობელ სახელმწიფოებს დიდ-ძალი სიმდიდრე მოსტაცეს, მრავალი ხალხი ტყვედ წამოასხეს და მონად და მოსამსახურედ გაიხადეს. ამისგამო ხალხი გაამპარტავანდა, წახდა და გაირყვნა. ვინც გამბედავი იყო, სამხედრო სამსახურში შედიოდა, ვინც ცოტაოდნად გაგებული, უფროსობას ეძებდა, ხოლო ფულის მოყვარული, ვაჭრობას ეტანებოდა. ერთის სიტყვით, ყველა აქეთ-იქით გარბოდა და უბრალო საქმეს აღარავინ კადრულობდა. ტყვედ წამოყვანილი მონა და მოსამსახურე მეტი იყო, ვიდრე მკვიდრი ხალხი, ისე რომ ასი ათას მკვიდრთან სამას ორმოც-და-ათი ათასი მონა და მოსამსახურე მოდიოდა. ყველაფერს ამათ აკეთებინებდნენ და თვითონ სირცხვილად მიაჩნდათ საქმის კეთება. ყველა იმის ცდაში იყო, ბევრი ფული მოვიგოვო, მონა და მოსამსახურე გავიჩინო და განცხრომით ვიცხოვროვო. სხვისის საქმის წახდენით თავისს საქმეს იკეთებდნენ, წესიერი ცხოვრება, ღარიბისა და გაჭირვებულის დახმარება ყველამ დაივიწყა.

სოკრატმა დაატყო, რომ ხალხმა გზა დაჰკარგა და იღუპებოდა, გავიდა ჭუჩასა და მოედანზედ და

დაუწყო ყველას ქადაგება: თქვენი ცხოვრება ცხოვრებას არა ჰგავს და წესიერი ცხოვრება ისწავლეთო.

II

რომორ უნდა იცხოვოთ ეს?

Бოკრატს შეპხვდა ერთი შეძლებული ახალგაზღა, სახელად არისტონი, არისტონი შუათანად შეგნებული და გონება-განვითარებული კაცი იყო. მაშინდელს მდიდრებსავით იმასაც უყვარდა განცხომით ცხოვრება და არავითარს საზოგადო საქმეში მონაწილეობას არ იღებდა.

— გამარჯობა, არისტონ, — უთხრა სოკრატმა რა ამბავია, რომ დღარსად სჩანხარ? ეტყობა საქმეში ხარ გართული და ჩვენსავით აქეთ-იქით სიარულით დროს არა ჰკარგავ.

— არა, — უპასუხა არისტონმა, — არაფერს საქმეში არა, ვარ გართული. ან რა საჭიროა ჩემთვის საქმის კეთება? მადლობა ღმერთს, არაფერი არ მაკლია და ტყუილად თავი რაზე შევიწუხო. სახელისა და პატივისთვის სამსახურში კი შევიდოდი, მაგრამ არც ეს არის ძალიან საპრიანო. რაც უნდა იყოს, მაინც ჯაფაა. ძალა-უნებურად უნდა სწერო, ილაპარაკო, ყური უგდო და სხვა! შეძლება ისედაც დიდი მაქვს, ყველაფერს წადილს და სურვილს ვისრულებ, ბეღნიერება და სიხარული არ მაკლია და ტყუილად რად უნდა გავაჩა თავი ჯაფასა და ვარ-ვაგლახში.

— მერე კარგია მაგვარი ცხოვრება? — ჰეთხა სოკრატმა.

— რატომაც არა, — უპასუხა, არისტონმა, — გან-ცხრომით და კმაყოფილებით ცხოვრებას რაღა სჯობს?

— ვითომ კი მაგრეა? — უთხრა სოკრატმა. — ჩვენ ეგრე ვიცით ხოლმე, ბევრი ცუდი კარგად მიგვაჩნია. ჰერკულესის შესახებ გაგიგონია რამე?

— ჰერკულესი და იმისი გმირული ცხოვრება ვის არ გაუგონია! — უპასუხა არისტონმა.

— მაშ გვიამბე, როგორ სცხოვრობდა?

— ეს კი არ ვიცი, — უპასუხა არისტონმა.

— მე გიამბობ, — უთხრა სოკრატმა.

— კარგი იქნება, კარგი, — მიაძახა მაყურებელმა ხალხმა.

სოკრატმა დაიწყო:

— როცა ჰერკულესი წამოიზარდა, ბევრი იფა-ქრა იმის გამო, თუ რა გზას დავადგე და როგორ უნდა ვიცხოვროთ. ამ ფიქრით გართული ერთხელ სასეირნოდ წავიდა. როცა კაი მანძილი გაიარა, იმი-სკენ მომავალი ორი ჭალი დაინახა. ერთი იყო შუ-ათანა შეხედულობისა, ესე იგი არც მაღალი, არც დაბალი, არც მსუქანი და არც ძალიან გამხდარი. ტანისამოსიც სადა და უბრალო ეცვა, ყველაფერში სიღინჯე და სიწყნარე ეტყობოდა. მეორე კი ძალიან მოსრული და მაღალი იყო; მდიდრულად ეცვა და ფერ-უმარულით შელესილი იყო. სადათ ჩაცმული ჭალი პირ-და-პირ მოდიოდა და აქეთ-იქით არ იყუ-

რებოდა, ხოლო მდიდრულად ჩაცმული კი სულ აქეთ-იქით იცქირებოდა და სცდილობდა თავი კარგად და მოსაწონად გამოეჩინა. პირველად ეს ქალი გა-მოეგება ჰერკულესს და უთხრა:

— ვიცი, ცხოვრებას დაუფიქრებიხარ და არ იცი, რა გზას დაადგე. საუკეთესო გზას მე გასწავლი-ჩემთან წამოდი და ბეღნიერებასა და სიხარულს არ მოგაკლებ. შრომა არ დაგჭირდება და ჯაფა. შენი ჯაფა მარტო ის იქმნება, რომ საუკეთესო სასმელ-საჭმელი აირჩიო და უკეთესად ჩაიცვა და დაიხურო. მარტო ბრძანება დაგჭირდება. ამსრულებელნი სხვე-ბი იქნებიან. ერთის სიტყვით, მუდამ ბეღნიერებასა და სიხარულში იქნები.

ჰერკულესს ძალიან მოეწონა ასეთი დაპირება და ქალს სახელი ჰკითხა.

— ჩემი სახელიო, — უთხრა ქალმა — „ბეღნიერე-ბაა.“ მართალია, ბოროტნი და ჩემი მტერნი მედო-დურს მეძახიან, მაგრამ ეს არაფერია, ჩემი სახელი მაინც ბეღნიერებაა.

საღათ ჩაცმული ქალი დინჯად იდგა და იმათს ლაპარაკს ყურს უგდებდა.

— ეხლა ჩემს სახელსაც გეტყვიო, — უთხრა ამ ქალმა ჰერკულესს. მე მქვიან „სიმართლე“. მე მაგ დედაკაცასავით არ მოგატყუებ, პირ-და-პირ და სისწორით გეტყვი იმას, რაც ყველასთვის კე-თილი და სასარგებლოა. მერმე შენვე დარწმუნდები, რომ რაც კეთილია და კარგი, მხოლოდ ჩემში იპო-

ვება. შენც ხომ კარგად იცი, რომ მაწის განაყოფიერებისათვის იმისი შემუშავებაა საჭირო, საჭონლის გამრავლებისათვის—მოვლა და სახლის შნოსა და ლაზათისათვის—ქვის გათლა და გალამაზება; აგრეთვე თუ გინდა, რომ ღმერთმაცა და კაცმაც შეგიყვაროს, ორივეს უნდა ემსახურო. უნდა იშრომო და იზრუნო ხალხის სიკეთისა და ბედნიერებისათვის და ჟველა შენი პატივის მცემელი იქნება. თუ ამ გზით ივლი და იცხოვრებ, მაშინ შეიძენ ყველაფერს სიკეთეს და ნამდვილი ბედნიერიც შეიკნები.

— აი, ხომ ხედავ, ჰერკულესო,—უთხრა მოსრულმა ქალმა,—სულ შრომა და შრომა. შრომასა და ჯაფას არ გირჩევნია ჩემთან წამოხვიდე, კარგი სჭამო და სვა, კარგი ჩაიცვა და დაიხურო, ტკბილად დაიძინო და სიამოვნებით დრო გაატარო; წამო, წამო, დროს ნუ ჰყარგავ,—უთხრა ქალმა და ხელი მოჰკიდა წასაყვანად.

— ცოტა მოითმინე,—უთხრა საღათ ჩაცმულმა ქალმა. კარგსა სჭამ და სვამო და არწმუნებ კიდეც, რომ მთელი სიკეთე და ბედნიერება ამ ჭამა-სმაშიაო. აბა ერთი მითხარი, შენ-კი სვამ და სჭამ გემოიანად? პირიქით შენი ჭამა-სმა ყოველთვის უგემურია. უგემურია იმიტომ, რომ არ იცი წესი და რიგი სმა-ჭამისა. იმისთანა დროსა სჭამ, როცა არა გშიან, და სვამ, როცა არა გწყურიან. ამბობ აგრეთვე, ტკბილად დაიძინებო. შენ როდის დაგიძინია

ტკბილად და მოსვენებით, რომ სხვას ჰპირდები? ან კი რა დაგაძინებს მოსვენებით, როცა მთელს სიცოცხლეს უქმად ატარებ! ტკბილად მხოლოდ იმას დაეძინება, ვინც შუღაშ მუშაობასა და საქმეშია გართული. გცნობ შენც და იმათაც, რომელნიც შენის მაცილურის ქადაგებით დაპლუპე და გააუბე-დურე. ვინ მოსთვლის, რამდენი სჩივის და სტირის, როგორ მოგვივიდა, რომ ამ გარყვნილების გზას დავადეჭით და ჩვენი ახალგაზღობა დავლუპეთო. ამიტომაც ყველა პატიოსანი ადამიანი გდევნის, გა-ძაგებს, გარყვნილსა და გაფუჭებულს გეძახის. ხოლო ვინც ჩემი დაიჯერა და ჩემ ჩიერ ნაჩვენებს გზას დაადგა, იგი ყოველთვის სულითაცა და ხორცითაც საღი ყოფილა, სიხარულითა და ბეღნიერებით და ტკბარა. ყველა შენ გიჩივის და გემდურის; ჩემთვის ერთხელაც არ უსაყვედურნიათ, პირიქით ძალიან მაღლიერნი არიან და ყოველთვის მოწიწებით და პატივით მიხსენიებენ. მე ვარ „სიმართლე“ და ამი-ტომ ჩემი მიმდევარი ყველასაგან ქებული, პატივ-ცემული და საუკუნოდ დაუვიწყარია. ჩემის გზით მსვლელი თვითონაც ხარობს და სხვასაც ახარებს თავისს ნამოქმედარით და ჭეშმარიტი ბეღნიერიც სწორებ ამისთანა კაცია.

ჰერკულესი დიდხანს აღარ დაფიქრებულა, დაადგა სიმართლის გზას და მთელი თავისი სიცოცხ-ლე ღვთისა და ხალხის სამსახურს შესწირა და ყვე-ლასაგან საყვარელი კაცი შეიქმნა.

სოკრატმა ჰერკულესის ამბავი რო გაათავა,
უთხრა არისტონს:

— აბა, არისტონ, კარგად მოიფიქრე და ისე
მიპასუხე, რომელი გზა სჯობია,— სიმართლისა, თუ
სიმრუდისა? რომ მოხუცების დროს სანანური არ
გაგიხდეს, ეხლავე აირჩიე უკეთესი გზა, დასტოვე
ყოველივე ცუდი და დაადექი ლვოისა და კაცის
საყვარელს საჭმეს.

III

როგორ უნდა იქცეოდეს ხალხის მაართველი?



ოკრატის უთხრეს: „ერთი მდიდარი კაცი,
სახელად გლავკონი, ძალიან სცდილობს ხალ-
ხის მმართველი და უფროსი შეიქმნესო. *

სოკრატმა იცოდა, რომ იგი გამოუც-
დელი და თან ზარმაციც იყო.

ერთხელ ქალაქის მოედანზე ხალხი შეკრებილი-
ყო. შუაში იდგა გლავკონი. ამაყობდა, თავს იწო-
ნებდა და სიხარულით გატაცებული იყო, რომ მალე
უფროსი შევიქმნებიო. ამ დროს მივიღა სოკრატიც.

— გამარჯობა, გლავკონ, — უთხრა სოკრატმა.
გავიგე, რომ მალე ჩვენი უფროსი და მმართველი
შეიქმნები.

— დიალ, იმედი მაქვს, — უპასუხა გლავკონმა.

— კარგი საჭმეც არის, — უთხრა სოკრატმა: რა-კი
უფროსი შეიქმნები, შეგეძლება დიდი სიკეთე და

სამსახური გაუწიო ხალხს და შენი სახელიც ქვეყანას
მოჰქონდა. ხომ ასეა? — ჰკითხა სოკრატმა.

— დიალ, — უპასუხა გლავკონმა.

— მაშ ნუ დაშიმალავ და ყოველივე გულ-ახდით
მითხარი, პირველად როგორ უნდა მოიქცე და რას
უნდა მოჰკიდო ხელი?

გლავკონი ჩაფიქრდა.

— რას ჩაფიქრებულხარ? — ჰკითხა სოკრატმა.
განა ძნელია მაგის პასუხი? შენის მოკეთისათვის
რას ფიქრობ, უთუოდ გამდიდრებას, არა?

— დიალ, — უპასუხა გლავკონმა.

— მაშ ხალხისათვისაც ასრევე უნდა იფიქრო.
თუ იმისი სიკეთე გინდა, იმის შემატებისა და სიშ-
დიდრისთვის უნდა იზრუნო. ხომ ასეა?

— დიალ, სწორედ აგრეა, — უპასუხა გლავკონმა.

— მერე როგორ უნდა მოიქცე, რომ ხალხი
გამდიდრდეს? ჩემის ფიქრით, ამისთვის საჭიროა ხალხს
მეტი შემოსავალი ჰქონდეს და გასაფალი კი ცოტა.
შენ როგორდა ჰტიქრობ?

— მეც ეგრე ვფიქრობ, — მიუგო გლავკონმა.

— მერე იცი, საიდგან რა შემოსავალი და სად
რა გასაფალი აქვს ხალხსა?

— ჯერ მაგის შესახებ არ მიფიქრია, — უპასუხა
გლავკონმა.

— რა გეჩქარება, — უთხრა სოკრატმა, — მაინც
მოესწრები. მაინც მითხარი შენი აზრი: რა ღონდა
საჭირო ხალხის გამდიდრებისათვის?

— ყველაზე უკეთესი ომია, — უპასუხა გლავ-კონბა. ომით უცხო ხალხს დავიმორჩილებთ, ვიმსახუ-რებთ და იმათს ქონებასაც ჩვენს ხალხს გავუნაწი-ლებთ.

— კარგი, მაგრამ ჩვენ რომ შოგვერიონ, შაშინ ხომ რაცა გვაქვს, იმასაც დავკაოგავთ.

— მართალია, მაგრამ ომი მაშინ უნდა დავი-წყოთ, როცა დარწმუნებულნი ვიქნებით, რომ ჩვენ მოვერევით.

— შაშასაღამე, პირველად ის უნდა შევიტყოთ, ვინ რა ძალ-ლონის პოტრონია, — უთხრა სოკრატმა.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა გლავკონმა.

— მაშ უთუოდ გეცოდინება, ვის რამდენი ჯარი ჰყავს და რა მდგომარეობაშია ჩვენი და ჩვენი მო-პირისპირეს სამხედრო ძალა.

— ზეპირად არ მახსოვს, — მიუგო გლავკონმა.

— მაშ წიგნი გექნება, მოიტანე, წაგვიკითხე და გაგვაგებინე ყველაფერი.

— წიგნიც არა მაქვს, — მიუგო გლავკონმა. ან კი ვის შეუძლია შეიტყოს, რომელს სახელმწიფოს რამ-დენი ჯარი ჰყავს?

— უამისოდ მაშ იმასაც ვერ შევიტყობთ, ვინ ვის მოერევა, — უთხრა სოკრატმა. — ის მაინც გეცო-დინება, როგორი მოსავალი იყო წელს, ეყოფა ხალხს წლის ბოლომდე, თუ გადარჩება?

— ჯერ არც ეს გამომიკითხავს; მაგდენი რომ

იკითხოს და იფიქროს კაცმა, მაშინ ხომ ადვილიც
აღარ იქნება ხალხის მართვა და გაშეეობა.

— მაშ შენ ადვილი გეგონა? ერთს რასმე კიდევ
გვითხავ: როგორც ვიცი, შენ ბიძასთან სცხოვრო-
ბდი, რატომ ეხლა აღარა ხარ იმასთან?

— იმიტომ, რომ ძნელი იყო იმოდენა ოჯახის
მოვლა. ამას გარდა ბიძაჩემი ყურს არ მიგდებდა
და ჩემი არაფერი სჯეროდა.

— ერთი ოჯახისთვის ვერ მოგივლია და ამოდენა
ხალხის მოვლასა და პატრონობას კისრულობ! კაცმა
იმისთანა საჭმეს უნდა მოჰკიდოს ხელი, რის შეს-
რულებაც შეუძლიან. ჯერ კარგად შეისწავლე, რაც
საჭიროა მაგ საჭმისათვის და ისე მოჰკიდე ხელი;
თორემ უამისოდ ტყუილად სირცხვილსა სჭირ
ქების მაგიერ ყველა გინებასა და ცუდად ხსენება
დაგიწყებს.

გლავკონს შერცხვა, ხმა ამოუღებლად კრებას
განშორდა და იმ დღისგან უფროსობის ძებნასაც
თავი დაანება.

IV

ბატონი თუ მსახურია უფრო ბედნიერი?

Aრთხელ სოკრატთან მივიღა იმისი მეზობელი
არისტარხი და შესჩივლა: ვვაჭრობდი და სა-
უბედუროდ ყველაფერი წავაგე. ამისთან ნა-
თესავებიც ომში მომიკლეს და იმათი ცოლ-
შვილი, სულ თოთხმეტი სული, შესანახი გამიხდა.

არ ვიცი, რა ვქნა და როგორ მოვუარო ამოდენა
ხალხს!

— ძალიან მებრალები, — უთხრა სოკრატმა. — მე-
რე ეხლა რას ჰყიქრობ, როგორ უნდა უშველო თავს?

— მინდოდა ფული მესესხნა ვისგანმე, მაგრამ,
გაიგეს გალარიბდაო და აღარავინ მენდო.

— ჰეი, ჰეი! — გააქნია თავი სოკრატმა. — აგრძ შენ
მეზობელს ოცი სული ჰყავს, თვითონაც კარგად
სცხოვრობს და იმათაც ინახავს. შენ კი თოთხმეტის
სულის შენახვა გიჭირს.

— სწორედ კარგი შედარებაა! სად მე და სად
ჩემი მეზობელი! ის მხოლოდ ერთი კაცია, დანარჩე-
ნიბი სულ მონა და მოსამსახურეა, ჩემები კი სულ
აურები და მებატონის შვილებია.

— მერე აზნაური რით განირჩევა ყმისაგან? მე
მგონია, იმით, რომ აზნაური ყმაზე უკეთესი უნდა
იყოს, — უთხრა სოკრატმა.

— რაღა თქმა უნდა, სად ყმა და სად აზნა-
ური! — უპასუხა არისტარხმა.

— სიტყვით კი, მაგრამ საქმით რომ არ გამოდის
ეგრე? შენ ამბობ, ჩემს მეზობელს რა უშავს, იმას
იმდენი მონა და მოსამსახურე ჰყავსო. მაშ მონა და
ყმა უკეთესი ყოფილა აზნაურზე. ყმას საქმის კეთება,
თავისა და სხვისი შენახვაც შესძლებია. აზნაური კა
მარტო თავიც ვერ შეუნახავს.

— საქმის კეთება ჩემებსაც შეუძლიანთ, მაგრამ
როგორ ვაკადრო, ყველანი წარჩინებოთი თჯახის

შეილებია, სხვა არა იყოსჩა, ხალხი რაღას იტყვის! თუნდ დავასაქმო კიდეც, მაინც არ გააკეთებენ და ტყუილად საყვედურით თავს მომაბეზრებენ.

— ეხლა კი ძალიან გემადლიერებიან?

— მემადლიერებიან კი არა, მუდამ ჩხუბი და დავიდარაბა გვაქვს.

— ჩხუბიცა გქონიათ, მშივრებიცა ჰყოფილხართ და კეთილშობილებას კი ვერაფრით უშველნია თქვენთვის. მაშასადამე, არ გირჩევნიათ საქმესა და მუშაობას ხელი მოჰკიდოთ?

— მირჩევნია და კარგიც არის, მაგრამ რა ვქნა, ისინი არ დათანხმდებიან. არ დათანხმდებიან იმიტომ, რომ ხალხი დაგვცინებსო.

— ეხლა კი ძალიან გაქებენ?

— გვაქებენ კი არა, ყველა ჩვენს დაცინვასა და ცუდად ხსენებაშია.

— საქმეც ეგ არის! — უთხრა სოკრატი. — აბა ისე მოიქეცი, როგორც გირჩევ და გაშინ ნახავ, როგორ წავიდეს საქმე.

არისტარხი დათანხმდა და დაბრუნდა სახლში. ნახვარის წლის შემდეგ არისტარხი და სოკრატი ერთმანეთს შეხვდნენ.

— როგორა ხარ, არისტარხ? — ჰყითხა სოკრატი.

— შენის წყალობით ძალიან კარგად, — მიუგო არისტარხმა — შენის დარიგების შემდეგ წავედი, ერთის კაცისაგან ნისიად მატყლი წამოვიდე, მატყლი სახლში დართეს, მაუდები მოქსოვეს, შემდეგ ტანისამოსებად

შეჰქერეს და ისე გავყიდეთ. მატყლის პატრონიც გავისტუმრეთ და ჩვენც საკმაო ხელფასი დაგვრჩა. ეხლა ყველანი შეეჩვივნენ მუშაობას, ფულიც შევიძინეთ და კარგადაც ვსცხოვრობთ.

— ხალხი რას ამბობს ეხლა? — ჰკითხა სოკრატმა.

— კარგის მეტს ცუდს არაფერს, — უპასუხა არისტარხმა.

ერთხელ ერთი ახალგაზდა მინდოოში წამოგორებულიყო და ხელების ჭნევით სიცხისაგან თავს იგრილებდა.

— რა მოგივიდა, რამ დაგქანცა მაგრე? — ჰკითხა სოკრატმა.

— იმან, რომ დღეს თორმეტი ვერსი ფეხით გამოვიარე.

— მერე რა ბარგი მოგქონდა ისეთი, რომ ასე დაქანცულხარ?

— ბარგს მე რად წამოვილებდი! ბარგისათვის ბიჭი მყავდა.

— ისიც შენსავით დაიღალა?

— იმას რა დალალავდა, პირიჭით სულ სიმღერით მოდიოდა.

— მაშ შენ შესაბრალისი ყოფილხარ. მონას ბარგიც წამოულია, თავიც და მაინც არ დაღლილა, შენ-კი ცალიერი თავიც ვერ გიზიდავს.

ერთს მებატონეს თავისი მოსამსახურე შეეპყრო
და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, წკეპლითა სცემდა.

— რას ერჩი, რა დაგიშავა? — ჰკითხა სოკრატმა.

— როგორ თუ რა? მაგისათვის ასი წკეპლაც
ცოტაა: გაზარდაცდა სრულიად, ჭამისა, სმისა, და
ძილის მეტი აღარა ახსოვს-რა!

სოკრატმა მებატონე ცალკე გაიხმო და უთხრა:

— შენ რაღა გახსოვს სხვა იმის მეტი, რომ
კარგი სჭამო, სვა, ჩაიცვა და დაიხურო.

მებატონემ თავი ჩაჰკიდა და ვერა უპასუხა-რა.

— თუ შენს მოსამსახურეს ასი წკეპლა ეკუთ-
ვნის, თვითონ შენ რამდენის ღირსი უნდა იყო?
ხომ შენგანვე ისწავლიდა იმას, რისთვისაც ეხლა.
შენს მოსამსახურესა სცემ.

მებატონემ სირცხვილით ხმა ვეღარ ამოიოლო
და სოკრატს განშორდა.

V

როგორ უდა იქცეოდნენ ოჯახში მცხოვრებნი?


ოკრატმა მუშაობას თავი დაანება და ხალხში
სიარული და ქადაგება დაიწყო. ცოლს
ეწყინა, ქმარი მიცეცება, მაგრამ თავს იმითი
ინუგეშებდა, რომ რაკი ამოდენა ხალხი იმის
ქადაგებას ყურს უგდებს, უთუდ გასამრჯელოსაც
კარგს მისცემენო; ამ გვარად ჩვენც ისე შ ძლებუ-
ლად ვიცხოვრებთ, როგორც სხვა მასწავლებელნი

და იმათი ცოლ-შვილნიო. სოკრატი სასყიდლისა და ქონების შეძენისათვის სრულიადაც არა ფიქრობდა და უსასყიდლოდ მიღებულს ნიჭს და ცოდნას, ხალხსაც უსასყიდლოდ უზიარებდა. როცა ქადაგებისაგან მოიცლიდა, მუშაობას მიჰყოფდა ხელს და ცოლ-შვილს საკუთარის ნაშრომით ინახავდა. ცოლმა ვერ აიტანა ღარიბული ცხოვრება და ქმარს ჩივილოთა და საყვედურით ეუბნებოდა: ამოდენას რომ სცდები, მოცდენის ფასი მაინც აიღეო. ხან ტირილსაც დაიწყებდა და ხან ისე გაბრაზდებოდა, რომ სოკრატისაცემრად მივარდებოდა. თავისს ჯავრს შვილებზედაც იყრიდა და იმათაც ცემა-ტყეპას დაუწყებდა. რაც ამ დროს ხელში მოხვდებოდა, ყველაფერს ღიეწდა და ამტვრევდა. სოკრატი თავისთვის გაჩუმებული იყო და ცოლის ლაპარაკს ყურადღებას არ აქცევდა. ერთხელ სოკრატის ამ გვარმა სიჩუმემ ქალი უფრო გააბრაზა, წამოავლო ჭუჭყიანი წყლით სავსე ვედრას ხელი და სოკრატს თავზე გადაასხა. სოკრატმა თავ-პირზე ხელი ჩამოისვა და ცოლს უთხრა: ჭუხილმაც აგრე იცის, ჯერ იქუხებს, იქუხებს და მერე ზედ წვიმასაც მოაყოლებსო. ამ გვარად ცოლის მოქმედება სოკრატმა თითქმის ხუმრობაში გაატარა.

სოკრატი თავისს კაი კაცობას შვილებსაც უზიარებდა ხოლმე: კარგს უწონებდა და ცუდს ამხელდა. ერთხელ იმისმა უფროსმა ვაჟმა დედა გააჯავრა. სოკრატმა შვილს უთხრა:

— შენ როგორ მიგაჩნია ისეთი კაცი, რო-
მელმაც სიკეთის დახსომება არ იცის?

— მეც და სხვებსაც ამისთანა კაცი ყველაზე
უსაძაგლეს აღამიანად მიგვაჩნია, — უპასუხა შვილმა:

— მართალს ამბობ, — უთხრა სოკრატმა; — მაგ-
რამ ეხლა ესეც მითხარი: კაცმა რომ კაცი გაზარ-
ღოს, აჭამოს, ასვას, პატარაობისას ხელით ატაროს,
თავისს დროზე დააძინოს, ჩაჟავას, დაახუროს, ავად-
მყოფობის დროს მოუაროს, ერთი სიტყვით, ყოვე-
ლივე გაჭირვება აიტანოს იმისთვის, მისაჩნევია ეს
კეთილ საქმედ და სიკეთედ თუ არა?

— ეს ყველაზე უდიდესი და დაუვიწყარი სიკე-
თეა, უპასუხა შვილმა.

— მერე დედამ კი ნაკლები სიკეთე გიყო?
შენის მოვლისა და აღზრდისათვის თავი დასდო და
ეხლა რით უხდი ამ სიკეთეს? განა, გონიერი აღამიანი
მაგრე მოექცევა თავისს მშობელს დედას?

შვილი შეწუხდა ძლიერ, მაგრამ ბოლოს მაინც
თავისს მართლება დაიწყო:

— სხვა რომ ყოფილიყო, ვაპატივებდი; მაგრამ
რა ვქნა, მეტის-მეტი გულ-ფიცხია; სულ უბრალო
რამეზე ასტებს ლაპარაკს და მოჰყვება ყვირილს
და ლრიალს; მეც კაცი ვარ, გულმა ალარ მომითმინა!

— შენ კი პატარაობისას ყოველთვის სამარ-
თლიანად სტიროდი? შენის სიყვარულისათვის დედამ
ყველაფერი მოითმინა, შენც სამაგიერო უნდა გადა-
უხადო.

VI

რატომ არ გისდევდა სოკრატი პარბს სხა-ჭამასა
და ჩაცხა-დახურვას?

ლ

ოკრატთან მივი ა ერთი მასწავლებელთაგანი
და უთხრა:

— სოკრატ, რა ყოფაა შენი ყოფა? ტა-
ნზე არ გაცვია რიგიანად და ფეხზე. ზამთარი
თუ ზაფხული, სულ ერთი და იგივე გაცვია.
საჭმელს არა სჭამ რიგიანსა და სასმელს. რაში გა-
მოგადგა ეგ შენი სწავლა და სიბრძნე, თუ-კი მაგრე
გაჭირვებით იცხოვრებ!

— როდის შემოგჩივლე ჩემი გაჭირვება? ჰკითხა
სოკრატმა:

— შენი ჩივილი რა საჭიროა, როცა ოვალით
ვხედავ ყველაფერს

— არა, — უთხრა სოკრატმა, — შენ არ გამოგი-
ცდია ჩემი ცხოვრება და იმიტომ გეჩვენება ეგრე-
სანამ არ მომშივდება, არასა ვსჭამ და ამიტო
უბრალო საჭმელსაც ისე შადიანად ვსჭამ, რომ ბევრი
ინატრებს კიდეც. რა საჭიროა აგრეთვე ორი ხელი
ტანისამოსი? ჩემი სხეული ისეთს ტანისამოსს შევაჩ-
ვიე, რომ ზამთარშიაც და ზაფხულშიაც გამომადგება.

— ეს, ვსოდეთ, შენ, მაგრამ რა საჭიროა სხვებიც
ასე მოიქცნენ? — უთხრა მასწავლებელმა.

— მაგანაც ახლავე აგიხსნი. ვსთქვათ გაჭირვებული კაცი მოვიდა და შემწეობა გვთხოვა. რომელი უფრო შევეწევით? შენ არაფერსაც არ გაიმეტებ და ასე იტყვი: მე თვითონვე ბევრი მჭირდება და სხვას როგორ უნდა შევეწიოო. ხოლო მე-კი ყველა-ფერი სხვისთვის მინდა, თავისთვის ცოტაც მეყოფა და ამიტომ გაჭირვებულს ყოველთვის სიხარულით შევეწევი.

ვსთქვათ კიდევ საჭირო დავრჩით და რაიმე საზოგადო სამსახურში მიგვიწვიეს. შენ უთუოდ განზე გადგები და იტყვი, ტყუილად დრო რად უნდა დავკარგოთ. მე-კი სიამოვნებით ვიკისრებ, იმიტომ რომ სხვისის სიკეთისათვის არ მენანება არც დრო და არც ჩემი შეძლება.

— ყველაფერს მართალს ამბობ, სოკრატ, — უთხრა მასწავლებელმა, მაგრამ მაინც და მაინც შენსავით ცხოვრებას ბევრად სიკვდილი მირჩევნია. უფრო ის მაკვირვებს, რომ ამდენი ხალხი ყურს გიგდებს და გიჯერებს.

— ყურებით ბევრი მიყურებს, მაგრამ ნათქვამს კი ძალიან ცოტა ასრულებს. ხოლო ვინც აასრულა, ძალიან მაღლიერია და დიდ ბედნიერადაც სთვლის თავისს თავს. შენ მიწუნებ ცხოვრებას, მაგრამ როცა არ გამოგიცდია, რა იცი, ავია თუ კარგი? მე-კი გამოვცადე შენებური ცხოვრება და დავრწმუნდი კიდეც, რომ იგი ფუუე და უსარგებლოა, ამიტომ დავ-

სტოვე იგი და ასეთს ცხოვრებას დავადექი.

მასწავლებელი სოკრატს განშორდა და გზაში სულ იმას ამბობდა: ამ კაცს სულელს ეძახიან, დასკინიან და მასხარად იგდებენ, ის-კი არა თუ სოკრატი დიდი ჭკვიანი და გონიერია და რასაც ამბობს, ყველაფერი მართალია.

VII

როგორ უდა ძმობა და ერთობა?

უ

ოკრატს ერთი შდიდარი კაცი შეხვდა. იცოდა, რომ იგი ძმას გაჰყროდა და უთხრა:

— მიკვირს, ასეთი ჭკვიანი და გამრჯე კაცი ხარ, მეტის ქონების შეძენისათვის გარეშე კაცებს იმეგობრებ და ღვიძლს ძმასთან კი ვერ გაგიძლია: განა ძმასთან სიყვარულით და ერთობით ცხოვრება ცუდია?

— ცუდი-კი არა, ძალიან კარგია, მაგრამ რა ვძნა, ჩემი ძმა სხვებისათვისაა კარგი, ხოლო ჩემთვის კი ურგებია.

— იქნება ცუდად ეპყრობი და იმიტომ?

— ვინც კარგად მომექცევა, იმას ცუდად არ მოვეპყრობი! — გაჯავრებით მიუგო მდიდარმა.

— კაცის დაახლოვება და დამეგობრება რომ ჯინდოდეს, როგორ მოიქცევი?

— ისე, როგორც სხვები იქცევიან: ხშირად
დავპატიჟებ, კარგად გავუმასპინძლდები და, თუ
საჭირო იქნება, ფულითაც დავეხმარები.

— მაში მაგრე მოექეც შენს ძმასაც და ნახავ,
როგორ შეიცვალოს იმისი გული.

— მე კიდევ შეურიგდები, მაგრამ ახლა თვითონაც
აღარ იქმს. ცოტა არ იყოს ხალხისაც მრცხვენია, რომ
ახლა ჩემს ძმას შევურიგდე.

— სირცხვილი ავკაცობა და ცუდი ქცევაა,
ხოლო ძმას რო შეურიგდე, არა თუ დაგზრახავს ვინ-
მე, პირიქით ყველა, რიგიანი და პატიოსანი კაცი,
მოგიწონებს. თუ შენი ძმა შერიგებაზე უარს გეტყვის,
შენი ვალი ხომ მაინც მოხდილი გექნება და გეცო-
ლინება კიდეც, რომ დამნაშავე იგია. მაგრამ არა
მჯერა, რომ უარი გითხრას. მე კარგად ვიცნობ შენს
ძმას, იმას ძალიან უყვარს ძმურადა და მეგობრულად
ცხოვრება. აბა ერთი სცადე ჩემი რჩევა, შეურიგდი
ძმას, იცხოვრე იმასთან ისე, როგორც დვიძლს ძმას
შეჰვერის და მაშინ დარწმუნდები კიდეც, თუ რა
ბედნიერება და სიკეთეა კაცისათვის ძმასთან სიყვა-
რულითა და თანხმობით ცხოვრება.

— ძმა ძმისათვის იგივეა, რაც ორი თვალი,
ორი ხელი და ორი ფეხი კაცისათვის. ხელი ხელის
შემწეა, ძმა-კი ძმისა. ხელმა რო ხელს დაუშალოს,
ხომ ველარათერს გავაკეთებთ. თუ კი ხელი ხელის
შემწეა და თვალი თვალისა, ძმამ რალად უნდა და-
უშალოს ძმას და რატომ თანხმობით არ უნდა იცხო-

ვრონ? ხელსა და თვალზედ უფრო სასარგებლოვა
ძმა. თვალი მარტო ერთის მხრისაკენ იყურება და
ხელი ხელს მხოლოდ ერთი ადლის სიშორეზე ჰშვე-
ლის; ხოლო ძმა-კი ძმას შორიდამ და ყოველის
მხრიდგან დაეხმარება. ღმერთიც ამასვე ბრძანებს,
რომ არა თუ ღვიძლ ძმას, სხვებსაც ძმურად მოექვე-
ცით და ყველასთან სიყვარულითა და თანხმობით
იცხოვრეთო. ხოლო ვინც ძმასთან ერთობით ვერ
იცხოვრებს, ის სხვასთან სრულიადაც ვერ მოთავს-
დება და ამ გვარად ღმერთის მცნების დამრღვევიც
ექნება.

VIII

როგორის მრთობით უდია სცხოვრებლებს ხალხი?



ორს განითქვა სახელი სოკრატისა, ისე რომ
უცხო სახელმწიფოებიდგანაც-კი მოდიოდ-
ნენ იმის მოძღვრების მოსასმენად. ხალხი
ქუჩასა ან მოედანზე შეიკრიბებოდა ხოლმე და მოუ-
თმენლად ელოდდა სოკრატის მოსვლას.

სოკრატის ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა და ან
რა საჭირო იყო: ცოტას იტყოდა და ბევრს-კი ჩა-
გონებდა ხალხს.

ერთხელ, ჩვეულებისამებრ, დიდ-ხალი ხალხი
შეიკრიბა მოედანზე და მოუთმენლად მოელოდდა
სოკრატის მოსვლას. სოკრატიც მოვიდა, ხალხის

თხოვნით სკამზე ჩამოჯდა, თავი ძირს ჩაჰკიდა და ლრმა ფიქრს მიეცა. ხალხში სიჩუმე ჩამოვარდა. ყველანი გაფაციცებით ელოდნენ, აბა ვნახოთ, რას იტყვისო.

— ერთი მითხარით, — დაიწყო სოკრატმა, — ეს ხალხი რომ ერთად სცხოვრობს, უკეთესი არ იქნებოდა, ყველას ცალკ-ცალკე ეცხოვრა? მაშინ ამოდენა ჩხუბი და უთანხმოება აღარ იქმნებოდა და ყველანი მოსვენებით ვიცხოვრებდით.

— ერთად ცხოვრება იმიტომაა საჭირო, რომ უფრო ბევრის გაკეთება შეიძლება. მარტო ერთმა კაცმა რა უნდა ჰქნას და რომელი ერთი გააკეთოს? — სთქვა ერთმა.

— მარტოობა ძნელია და ან მარტო-ხელა კაცმა თავი როგორ უნდა შეინახოს? — სთქვა მეორემ.

— მარტო რომ იცხოვროს კაცმა მალე მოსწყინდება, ხოლო ხალხში ცხოვრება კი სულ სხვაა, — სთქვა მესამემ.

— ღმერთსაც ერთად ცხოვრება დაუწესებია და არა ცალკ-ცალკე, — სთქვა მეოთხემ.

— ყველანი მართალს ამბობთ, — სთქვა სოკრატმა. მაგრამ, რომელი ცხოვრება უფრო სასარგებლოა: მეგობრულად თუ მტრულად?

— რა, თქმა უნდა, მეგობრულად ცხოვრება კარგი და უფრო სასარგებლოა, — უპასუხეს ერთხმივ.

— კარგია რომ ვსთქვათ, რა გამოვა, თუ კი არ შევასრულებთ. მერე რა მიზეზია, რომ ერთმანე-

თში სიყვარულითა და თანხმობით არა ვსცხოვრობთ? ხალხში სიჩუმე ჩამოვარდა.

— რომელი გირჩევნიათ: მეგობარი, თუ მოჯა-
მაგირე? — ჰკითხა ხალხს სოკრატმა.

— რა თქმაუნდა, მოჯამაგირეს მეგობარი სჯო-
ბია, — უპასუხეს ერთხმად.

— მოჯამაგირე მარტო თავისთვის ზრუნავს და
მებატონისა-კი დარღი არა აქვს, ხოლო მეგობა-
რი როგორც თავისთვის, მეგობრისათვისაც ისე
ზრუნავს, — სთქვა ერთმა.

— მეგობარი და ამხანაგი იმიტომაა კარგი, რომ
გაჭირვების დროს მოგხედავს და თუ რამე აქვს,
არაფერს დაზოგავს შენთვის, — სთქვა მეორემ.

— კარგს მეგობართან შენც კარგი შეიქნე-
ბი, — სთქვა მესამემ.

— მაშ მეგობარი მეტი გეყოლებათ, ვიდრე
მოჯამაგირე? უთხრა იმათ სოკრატმა.

— მეგობრები არა და მტრები კი ბევრი
გვყავს, — უპასუხეს სოკრატს.

— მერე რად არის აგრე? ხარის შეძენასა და
გამრავლებას-კი სცდილობთ და რატომ კარგის კა-
ცების დამეგობრებას არა სცდილობთ?

— იმიტომ რომ კარგს ხარს ბევრს იშოვის
კაცი, ხოლო კარგს მეგობარს და ამხანაგს-კი ვერა.
დაგჭირდა კარგი ხარი, მიხვალ, ამოარჩევ, უღელ-
ში შეაბამ და, თუ კარგად გასწია, იყიდი კი-
დეც. კარგს მეგობარს და ამხანაგს-კი ბევრიც

რომ დაგჭირდეს და ეძებო კიდევ, ვერსალ ვერ
შეხვდები.

— მართალს ამბობ, — უთხრა სოკრატმა; მაგრამ
ერთი მითხარი, კარგს ხარს შენ რომელს ეძახი?

— იმას, რომელიც მშვიდი და კარგი გამწევია.

— კარგს მეგობარს?

— კარგი მეგობარი ის არის, ვინც გაჭირვების
დროს მოგხედავს და ხელს გაგიმართავს.

— მერე როგორ შეატყობ ამისთანა კაცს?

— როგორ და იმის კაი კაცობით.

— შენ როგორ უნდა შეგატყონ?

— მეც, რაღა თქმა უნდა, ჩემის კაი კაცობითვე.

— კარგს მეგობარს როდის ეძებ, მაშინ როცა
შენ გჭირია, თუ როცა იმას სჭირდები?

ვერც ერთმა ამის პასუხი ვერ მისცა სოკრატს.

— ეგ როგორ არ იცით, განაგრძო ისევ სოკ-
რატმა. ვსოდეთ, მეზობელი მოგივიდა. არც შენ
და არც იმან ერთმანეთის ამბავი არ იცით. როგორ
შეატყობ ამ კაცს, კარგი სამეგობრო იქნება თუ არა?
პირველად იმან უნდა გამოიჩინოს კაი კაცობა თუ შენ?

— მე მგონია, უკეთესი იქნება ჯერ იმას და-
ვაცადოთ, — სთქვა ერთმა.

— მაშ ისიც შენ დაგიცდის და მერე რა გამო-
ვა აქედგან? — უთხრა სოკრატმა.

— მართალს ამბობ, სოკრატ, მართალს! — უპა-
სუხა ხალხმა. ჩვენ ყოველთვის ეგრე ვიცით ხოლმე.
პირველად სხვისგან მოველით სიკეთესა და კი არა

ვცდილობთ, რომ ჯერ ჩვენ დავანახოთ ჩვენი კაი კაცობა. ამიტომაც არის რომ ვამბობთ, კარგს ხარს ბევრს ვიშოვით და კარგს მეგობარს-კი ვერაო. თუ-კი ჩვენ არ ვიქნებით კარგი და არავის სიკეთეს არ ვუზამთ, სხვისგან რაღად უნდა მოველოდეთ ამას?

IX

რის ცოდნა და გაგებაა საჭირო თითოეულის
ჩაცისათვის?

 უჩაში დიდძალი ხალხი შეკრებილიყო. სოკ-
რატი, მუშაობიდამ დაბრუნებული, შინ მო-
დიოდა და შეკრებილი ხალხი რომ დაინახა,
გამარჯობა უთხრა.

— რამდენი ხანია შენ გელოდებით, — უთხრეს
სოკრატი.

სოკრატი ხალხის თხოვნით იქვე ჩამოჯდა. ახლო-
მახლო ხალხმაც მუშაობას თავი დაანება და იქ მოიყარა
თავი. წადგა სოკრატის წინ ოთხი კაცი და უთხრეს:

— გვირჩიე რამე სოკრატი: რა ვასწავლოთ და
რა ხელობაში მივსცეთ ჩვენი შვილები?

— თქვენ რის სწავლებას ჰქონიერობთ მათთვის?
ჰკითხა სოკრატმა.

— მე მინდა, ჩემმა შვილმა მცედლობა ისწავ-
ლოს, — მიუგო ერთმა.

— სოკრატიც ხომ ქვის მთლელია, და ჩემს
შვილსაც ამ ხელობაში მივსცემ, — სთქვა მეორემ.

— ჩემი ხელობა მიწის მუშაობაა და ჩემმა შვილ-
მაც ესევე ისწავლოს, — სთქვა მესამემ.

— ჩემს შვილს-კი ეჭიმობის სწავლა ჰსურს, —
სთქვა მეოთხემ.

— ეს ყველაფერი კარგია, — უთხრა იმათ სოკრა-
ტმა. საჭიროა და სასარგებლო, რომ თითო რამე ყვე-
ლამ იცოდეს და ყველაფერს საჭმეს თავისი მოხელე
ჰყავდეს, მაგრამ არ იფიქროთ-კი, რომ მარტო ეს
იყოს საკმაო თითოეულის აღამიანისათვის. აი
მაგალითიც: ტაძრის აჭენება რომ დაგვჭირ-
დეს, ხუროსა და ქვის ოსტატს მოვიხმობთ; აგრე-
თვე ხომალდის გასაკუთებლად მოვიწვევთ იმისსავე
ოსტატს. მაგრამ ერთი ეს ვიკითხოთ, ქმარს რომ ავს
ცოლთან მოუხდეს ცხოვრება, შვილს — ძუნწმამასთან,
ძმას — ანჩხლუს ძმასთან და მეზობელს — ცუდს მეზობე-
ლთან, ამისათვის რომელს ხელოსანს უნდა მივმართოთ?

— მაგისი ხელოსანი არც ყოფილა და არც ამის
შემდეგ იქნება. ამისთანა შემთხვევაში თავისით უნდა
მიხვდეს კაცი და ისე უნდა მოიქცეს, საცა როგორც
საჭირო იქნება, — სთქვა ერთმა.

— ამისთანა საჭმეში ყველა ხელობის კაცი გა-
მოდგება, — სთქვა მეორემ.

— ჰკვიანი კაცი მიხვდება კიდეც, როგორ უნდა
მოიქცეს ამისთანა შემთხვევაში, — სთქვა მესამემ.

— სოკრატის სიტყვით, ხელობას გარდა იმისი
სწავლაც ყოფილა საჭირო, თუ კაცმა კაცთან რო-
გორ უნდა იცხოვროს, — სთქვა მეოთხემ.

— დიალ, სწორედ მაგისი სწავლა და ცოდნაა საჭირო ყველასთვის, — უთხრა სოკრატმა.

— ეს ყველას არ მოეთხოვება, და იმაზეა და-მოკიდებული, ვის როგორ ესმის, — სთქვა ერთმა.

— ეს ისეთი საჭმე არ არის, რომ კაცმა ხელო-ბასავით ისწავლოს, — სთქვა მეორემ.

— ან კი მაგისი დასწავლა როგორ შეიძლე-ბა? — სთქვა მესამემ.

— არც შეიძლება და ვერც არავინ დაისწავლის! სთქვა მეოთხემ.

— საკვირველია, რაღა იმისი დასწავლა არ შე-იძლება, რაც ყველაზე უფრო საჭიროა! — უთხრა იმათ სოკრატმა. — შენ რომელი გირჩევნია: კა-რგი ტანისამოსი და მამასთან უკმაყოფილოდ ცხო-ვრება, თუ ცუდი ტანისამოსი და მამასთან სიყვარულით ყოფნა? — ჰკითხა ერთს მათგანს.

— მამასთან სიყვარულით ვიყო და თუნდ სულ ძონძი ტანისამოსით ვივლი! — მიუგო იმან.

— კარგი ცოლი გირჩევნია, თუ კარგი ფეხსა-ცმელი? — ჰკითხა მეორეს სოკრატმა.

— კარგი ცოლი მყავდეს და ფეხზე სულაც არ ჩავიცვამ!

— ცივება გირჩევნია, თუ ის, რომ ყველასა სძუ-ლდე?

— შეძულებაზე უარესი ავალმყოფობა რაღა იქნება?!

— მაშასადამე, სჩანს, რომ ის, რის ცოდნაც ყველაზე უფრო საჭიროა, უძვირთასესი ყოფილა მკერვალობასა, მკურნალობასა და მეწალობაზედაც. ხოლო ამ უსაჭიროესის ცოდნის შეძენა კი, თქვენის სიტყვით, შეუძლებელი ყოფილა. მაგრამ როგორ დავიჯერო ეს? თუ-კი ადამიანს ცაზე ვარსკვლავის დათვლა და დედა-მიწაზე ყველა ბალახის თვისების შეტყობა შეუძლია, ნუ თუ იმისი ცოდნა და შეტყობა-კი არ შეუძლია, ადამიანთან როგორ უნდა იცხოვოს?

— არა, არც მაგრე შეუძლებელი უნდა იყოს! — უპასუხეს სოკრატი.

— მეც ეგრე მგონია, — სთქვა სოკრატი, — მაგრამ როგორ გავიგოთ ეს? ი აგერ ტაძრებია და ზედ იმდენი წარწერებია; იქნება, იქ იყოს რამ მოხსენებული ამის შესახებ.

— კაცმა როგორ უნდა იცხოვოსო, ეს არ არის ნათქვამი; ხოლო ეს-კი არის: იცან თავი თვისიო. — უთხრეს სოკრატი.

— იქნება, სწორედ მაგ სიტყვებში გამოდიოდეს ის, რაზედაც ეხლა ჩვენ ვლაპარაკობთ, ჩვენ. რომ ჩვენი თავი ვიცნოთ, მაშინ იქნება ისიც შევიტყოთ, თუ როგორ უნდა ვიცხოვოთ.

— აგვიხსენი, სოკრატ, რა არის თავისს თავის ცნობა?

— ახსნა და განმარტება არ ვიცი; მე გკითხავთ; თქვენ მიპასუხეთ, და ამ კითხვა-პასუხში საგანიც თავისს-თავად განიმარტება.

— აგერ ხარებით ყურძენი მიაქვთ, — დაიწყო ისევ სოკრატმა. — შეტყობა რომ გვინდოდეს, რა არის ხარი ან ყურძენი, ვის უნდა მივმართოთ? იმას, ვისაც მხოლოდ ხორცი და ყურძენი უჭამია, თუ იმას, ვისაც ისინი მოუშენებია?

— რა თქმა უნდა, იმას, ვისაც მოუშენებია! — უპასუხეს სოკრატს.

— ხარების გამრავლებისა და ვენახის გაშენებისათვის რაღაა საჭირო?

— ამისთვის საჭიროა იძისი ცოდნა, თუ ხარს როგორ უნდა მოუსარო და ვენახი რა დროს დარგა.

— მაშასადამე, თავისს თავზედაც ასეთივე ცოდნაა საჭირო. როცა ჩვენს საჭიროებას გავიგებთ, მაშინ ჩვენი თავიც გვეცოდინება. მერე ვიცით კი, რა არის ჩვენთვის საჭირო?

— ესეც რომ აღარვიცოდედ, რა იქნება! — სთქვა ერთმა.

— ან-კი ვინ იქნება ისეთი, რაც სჭირია, არ იცოდეს? — სთქვა მეორემ.

— აბა მითხარი, რა გესაჭიროება ახლა შენ? — ჰკითხა ერთს სოკრატმა.

— მე ბევრი არ მინდა, მაგრამ ყველას-კი სიმდიდრე მირჩევნია. სიმდიდრე თუ მექნება, სხვა წალილსაც აღვილად შევისრულებ, — მიუგო იმან.

— ჩემთვის რომ გეკითხათ, უფროსობას ყველას ვამჯობინებდი. უფროსი თუ ვიქნები, მაშინ სიმდიდრეც თავისს-თავად შემეძინება, — სთქვა მეორემ.

— მე კი ყველას მირჩევნია გაუჭირველად ვსცხოვრობდე, ვიყო ჩემთვის მოსვენებით და ვიძენდე სწავლა-მეცნიერებას, მხოლოდ ისე კი, რომ არავინ მიშლიდეს,—სთქვა მესამემ.

— კარგს სახელს არა სჯობია-რა,—სთქვა მეოთხემ,—იმიტომ რომ, კარგი სახელი თუ მექნება, მაშინ ყველა ჩემი მაქებელი და პატივის-მცემელი იქნება.

— აი, ხომ ჰეგდავთ! — სთქვა სოკრატმა,— როცა ხარისა და ვენახის შესახებ გკითხეთ, ყველამ ერთი და იგივე მიპასუხეთ, ხოლო როცა კაცის საჭიროებაზე ლაპარაკი ჩამოვაგდე, სულ სხვა-და-სხვა აზრი წარმოსთქვით. მაშასაზამე, სჩანს, რომ ჩვენ ჩვენი თავი ვერ გვიცვნია. რომ გვეცნო, მაშინ ხომ ჩვენს საჭიროებასაც დანამდვილებით შევიტყობდით. ერთმა სთქვა, მე სიმდიდრე მინდაო. ძალიან კარგი! შენ თუ გინდა სიმდიდრე, ჩვენც გვინდა. მერე თანახმა ხარ, რომ ქონება შუაზე გავინაწილოთ? — ჰკითხა სიმდიდრის მსურველს სოკრატმა.

— თუ კი ჩემიც სხვას გაუნაწილე, ეს რაღა სიმდიდრე იქნება! — უპასუხა იმან:

— როგორც შენ, ისე არც ჩვენ გაგინაწილებთ ჩვენს ქონებას. მაშასადამე, ამ მხრივ შენის სურვილის შესრულება შეუძლებელი ყოფილა, — უთხრა სოკრატმა. — მეორემ სთქვა, უფროსობა მინდაო. შენ თუ გინდა უფროსობა, მეც მინდა. ეხლა მითხარი: ერთმა მეორეზე როგორ უნდა ვიუფროსოთ?

— არც მაგ მხრივ ყოფილია მოსახერხებელი საქმე. — უპასუხა უფროსობის მსურველმა და თან გაეცინა კიდევ.

— მესამემ სთქვა, მე გაუჭირვებელი და მოსვენებული ცხოვრება მინდაო. მინდა აგრეთვე სწავლა-მეცნიერების შეძენა, ისე კი, რომ არავინ მიშლი-დესო. ძალიან კარგი, ეს შენ გსურვებია, მე კი მსურს და მიყვარს კარგი ჭამა-სმა, სალამურის დაკვრა და ზედ თამაში, ისე კი, რომ არავინ დამიშალოს. ეხლა ვიკითხოთ: ისე როგორ უნდა ვიცხოვოთ, რომ ერთმანეთს არ დავუშალოთ? მე ავდგები თუ არა, მაშინვე სალამურს მივვარდები, დავუკრავ, ვითამაშებ და აღარ მოგასვენებ. შენც ადგომისათანავე ლექსების ხმა-მალლა კითხვას დაიწყებ და მე დამიშლი. კარგი, თუ გინდა, ამ მხრივ მოვთავსდეთ როგორმე; მერე, ვინ უნდა გვაჭამოს და გვასვას? შენ მე არ გამიკეთებ საღილს და მე კიდევ — შენ. უჭმელი ხომ ვერ. ვიქნებით! იქნება სთქვა: მსახურთ ვუბრძანებ და იმათ გავაკეთებინებო. მაგრამ იმათაც რომ ჩვენსავით სალამურზე თამაში და ცაზე ვარსკვლავის დათვლა მოისურვონ, მაშინ რაღა უნდა ვქნათ? მაშასაღამე, არც შენი აზრი მოდის. აქედგან სჩანს, რომ ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარვართ კაცის საჭიროებას და იმას, თუ როგორ უნდა იცხოვოს ყველა ადამიანმა.

— ჩემს ნათქვამზე რაღას იტყვი, სოკრატ? — ჰკითხა კარგის სახელის მსურველმა.

— შენი ნათქვამი ყველასა სჯობიან და ჭეშმარიტებასთან ახლოა. შენ სთქვი, კარგი სახელი და ხალხის პატივის-ცემა ყველაფერს სჯობიაო. დიალ, სჯობს და ყოველი აღამიანი სწორედ მაგას უნდა ეტანებოდეს. მაგრამ საჭმე ის არის, რომ შენ ჩემგან თხოულობ პატივის-ცემას და მე კი შენგან. ასევე უნდა ვითიქროთ სხვების შესახებ. შერე, როგორ მოვახერხოთ ისე, რომ პატივ-უცემული არავინ დარჩეს?

— ძნელიც ეს არის სწორედ! — სთქვა ერთმა.

— შართალია, ძნელია, მაგრამ მაგ სიძნელეზეა დამოკიდებული ყველაფერი. ყველას თქმა და ლაპარაკი მხოლოდ ის არის, რომ ზალხმა სიკეთე გაგვიწიოს და ჩვენს კმაყოფილებით ცხოვრებას ხელი არავინ შეუშალოსო. ასეა თუ არა? — ჰკითხა სოკრატმა.

— დიალ, სწორედ მაგრეა, — უპასუხეს ერთხმად.

— ერთმა სთქვა, სიმღიდრე მინდაო, მეორემ—უფროსობაო, მესამემ — სწავლა-მეცნიერების შეძენაო და მეოთხემ — კარგი სახელიო. ერთი სიტყვით, ყველა თავისს სიკეთისათვის ფიქრობს წრუნავს. მაშასადამე, საჭმე ისე უნდა მოეწყოს, რომ ერთის სიკეთემ მეორე არ დასჩაგროს; ესე იგი, როცა თავისს სიკეთესა და ბეღნიერებასა ხართ მოწადინებულნი, ამავე დროს გახსოვდეთ ისიც, რომ ამ თქვენმა სიკეთემ, ბეღნიერებამ და სურვილის შეს-

რულებამ სწვებს არაფრით არ დაუშალოს ჲ არ დასჩა-
გროს. კიდევ ხარი დ ვენახი მოვიყვანოთ მაგალითად-
რა სამართალი იქნება, რომ მარტო ერთმა ხარმა
დალიოს სუფთა წყალი, გაძლეს კარგის ბალახით და
დანარჩენებისათვის წყალიც აამლვრიოს და ზალა-
ხოც გალასთელოს. აგრეთვე ერთის ვენახის დარგვა
რომ გვინდოდეს, იმ ერთის გულისათვის მახლობელ ვე-
ნახებს ხომ არ გადავსთხრით. ასევე უნდა ვსთქვათ
კაცის შესახებაც. თუ შევიგნებთ, რა არის აღამია-
ნისათვის საჭირო და სასარგებლო, მაშინ იმასაც
მივხვდებით, თუ რა არის იმისთვის მავნებელი და
მაზარალებელი, და რა კი ამას მივხვდებით, უნდა
ვეცადოთ კიდეც ისეთი საქმე არა ვქნათ, რაც სხვე-
ბისათვის მავნებელი და გულის სატკენი იქნება.
ასე თუ არა? — ჰკითხა სოკრატმა.

— დიალ, სწორედ მაგრეა, — დაეთანხმა ხალხი.

— მაშასადამე, აქედგან მივხვდებით, როგორ
უნდა მოიქცეს ყოველი ადამიანი. ყველას წადილი
და სურვილი ის არის, რომ სხვებმა გაგვიწიონ სი-
კეთე. მერე ვინ არის ამ სიკეთის მქნელი?

— ვინა და ისევ ხალხი, — მიუგეს სოკრატს.

— თქვენ ვინდა ხართ?

— ჩვენც ხალხი ვართ. მერე, როგორ უნდა
მოვიქცეთ?

— ისე რომ თქვენც სხვისის სიკეთისათვისაც
უნდა იზრუნოთ. ამდენი ხანი კაცის საჭიროებაზე

ვლაპარაკობთ და ჩვენს თავს ვეკითხებით, ვინა ვართ
და რა ვართ? რომ ეს დანამდვილებით შეგვეტყო,
ამისათვის საჭირო შეიქმნა გაგვეგო, რა არის ჩვენ-
თვის საჭირო. ბოლოს გავიგეთ კიდეც და ვსცანით,
რომ ჩვენთვის საჭირო ყოფილა პირველი ის, რომ
სხვებმა ხელი არ შეგვიშალონ და მეორე—ყვე-
ლამ სიკეთე და სამსახური გაგვიწიოს. მაგრამ თუ
სხვებისაგან სიკეთესა და სამსახურს ვითხოვთ, ჩვენც
სხვებს ასევე უნდა მოვეძეთ.

— ვსთქვათ, ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ სა-
ქმე ის არის, რომ ყოველთვის ვერ მივხვდებით, რა
არის კაცისათვის კარგი და რა არის ავი, — უთხრა
სოკრატს ერთმა.

— ეს კი მართალი სთქვი, — მიუგო სოკრატმა.
— ამისთანა შემთხვევაში ხშირად ვსცდებით ხოლმე,
მაგრამ რა ვუყოთ? თვით მჭედლისა და მეწალისაგა-
ნაც ბევრს რასმე შეცულმით სწავლობს შეგირდი,
მაგრამ ოსტატმაც რა ჰქმნას? იმასაც სხვისაგან ისე
უსწავლია. აი მეც ახლა ვსწავლობ იმას, რის ცოდ-
ნაც ყველასთვის საჭიროა. ვსწავლობ და სხვებსაც
ვასწავლი ისე, როგორც მისწავლია და მაგონებს
სინიდისი და სული ღვთისა. ხოლო ვინც სინიდისსა
და ღვთის მოწოდებას დაუკვირდება და დაემორჩი-
ლება, იგი მიხვდება კიდეც, სად როგორ უნდა
მოიქცეს. ეს მადლი ღვთისა, ესე იგი სინიდისი,
ყოველს აღამიანს აქვს მინიჭებული, თუ თვითონ-
ვე კაცმა არ დაჰკარგა და არ დააბნელა. განგება

ლვთისა ყოველთვის ხელმძღვანელი ყოფილა და არის ადამიანისა. რაც ადამიანი გაჩენილა, სულ იმის სწავლასა და ძიებაშია, თუ როგორ უნდა იცხოვოს კაცმა. ხოლო უკეთეს ცხოვრებად კი მიმჩნეულია ის, რომ ადამიანმა კაი კაცობა გასწიოს და ვნება არავის მოუტანოს.

X

მთავრობასთან დასხვნა სოკრატისა და სასამართლოს განჩინება.

ოკრატმა თავისის მოძღვრებით დიდძალი ხალხი მიიმხრო და მიიზიდა, მაგრამ მტერიც ბევრი გადაიკიდა. სოკრატი ამბობდა, რომ შრომა და საქმიანობა კი არ არის სირცხვილი, სირცხვილი უსაქმობა, და უქმად ყოფნააო. ღმერთსაც მხოლოდ გამრჯელი და მართალი კაცი უყვარს და ამისთანა ადამიანს ანიჭებს კიდევ ჰეშმარიტს ბედნიერებასო. კაი კაცი თავისს კაი-კაცობითვეა ბედნიერი და იგი არ ეტანება განცხროშისა და ფუფუნებით ცხოვრებასო, მხოლოდ მსუბუქი და ჰეკუა-დაუხედავი კაცი ეტანება ყველა ამას და ფუფუნებით ცხოვრებაში ეძებს ბედნიერებასა და ნუგეშსაო.

მდიდრებს არ მოსწონდათ ეს, ჯავრი მოსდიოდათ და ამბობდნენ: ამ მოუსვენარმა კაცმა ხალხი აგვიჯანყა, ისე რომ შვილებიც კი ჩვენი წინააღმდეგ გადასაცილებელი იყო.

დეგა გაგვიხადა. უნდა მოუხერხოთ რამე, თორემ
არ მოგვასვენებს და საქმეს აგვიწერავსო; მოვუგონოთ
რამ და სამართალში მივაცემინოთო. იფიქრეს და
ბოლოს ასე გადასწყვიტეს: წავიყვანოთ სასამართ-
ლოში და დავასმინოთ, რომ იგი ურწმუნოა, ჩვენს
ღმერთებს უარ ჰყოფს და ახალგაზღობას ჰრუვნის
და აფუჭებსო.

მოიფიქრეს ეს და გამოუცხადეს სოკრატს: შენ
ჩვენის სჯულისა და ჭარწმუნოების წინაღმდეგი ხარ
და ამიტომ სამართალში უნდა მიქცეთო. სოკრატის
მოწაფენი ძლიერ დააღონა და შეაწუხა ამ ამბავმა.
მაშინათვე შეიკრიბნენ სოკრატთან და ურჩიეს, კარგად
მოემზადე და სასამართლოში ისე წასდეგიო.

— მოძლვარო, თუ გეძნელება და არ იცი, რა
უნდა სთქვა სასამართლოში, მე მეგულება ერთი
კაცი, ნება მომეცი, ფული მივცე და დავაწერინო
ის, რის თქმაც მსაჯულთა წინაშე დაგჭირდება. ეს
დაწერილი ჯერ სახლში წაიღე, კარგად გაიზეპირე
და სასამართლოში ისე წასდეგიო, — უთხრა სოკ-
რატს ერთმა შეძლებულმა მოწაფეთაგანმა.

— ნუ სწუხდებით, ჩემთვის, ჩემო მეგობარნო, —
უთხრა მოწაფეებს სოკრატმა. — ჩემი გამამართლებე-
ლი ისევ ჩემივე ცხოვრებაა. მე სიტყვის გაზეპირება
და ბევრი ლაპარაკი სრულიადაც არ მესაჭიროება.

— ნურც მაგრე იტყვი, სოკრატ, — უთხრა მე-
ორე მოწაფემ. — განა არ იცი, სასამართლოში რა
ძლიერ საჭიროა კარგად და მოხერხებულად ლაპა-

რაკი! რამდენჯერ მომხდმრა, რომ მტკუანი გამართლებული მოხერხებულის ლაპარაკით, ხოლო მართალი გამტკუნებული მხოლოდ იმიტომ, რომ არ იცოდა რიგიანი ლაპარაკი.

— როგორც უნდათ ისე გამასამართლონ, სულ ერთია ჩემთვის! — სთქვა სოკრატმა. — სიკვდილის მოახლოვებას მაინცა ვგრძნობ. სჯობს კიდეც, იმიტომ რომ აქამდე ძალა მქონდა, ყოველივე მომეთმინა და ხალხისათვის სამსახური გამეწია, ახლა მოვხუცდი და მეშინია კიდეც, სხეულის სისუსტესთან სულიერმა სისუსტემაც არ დამძლიოს.

სოკრატი დაიბარეს სასამართლოში. საქმის გასარჩევად ხუთასამდე მსაჯული შეიკრიბა. სოკრატიცა და იმისი დამსმენელნიც დანიშნულს დღეს წარსდგნენ სასამართლოში. მაშინ სამოსამართლო საქმე ქალაქის მოედანზე ირჩეოდა ხოლმე და ბევრი ხალხი ესწრებოდა. ახლაც დიდძალი ხალხი შეიკრიბა საყურებლიდ.

ცილის მწამებლებმა მსაჯულებს მოახსენეს: სოკრატი ჩვენს ღმერთებს უარ ჰყოფს, ახალს ღმერთებს აღიარებს და ხალხს უქადაგებსო.

— მსაჯულნო და მოქალაქენო! — წარმოსთქვა სოკრატმა. — სამოცი წელიწადია, რაც ათინის ქალაქში ვსცხოვრობ. ყველამ კარგად იცის, როგორცა ვსცხოვრობდი; რასაც ვქადაგებდი, ყველას გასაგონად ვამბობდი. აბა ახლა გამოვიდეს ვინმე და მამხილოს, თუ დღესმე ულმრთოება ან ცუდი საქმე ჩამიდენია.

ვერავინ ხმის ამოლება ვერ გაბედა და სიტყვა
ისევ სოკრატმა განაგრძო:

— ლვთის მცნებისა და ნების შესატყობად ჩვენ
მისნებსა და მოგვებს მივმართავთ ხოლმე. მე-კი
ვამბობ, რომ თუ ლრმად დავფიქრდებით და სინი-
ლისს დავეკითხებით თითოეულს ჩვენგანს შეუძლია
გაიგოს და მიხვდეს, თუ რა არის ნება ლვთისა და
რა სამსახურს ითხოვს იგი ჩვენგან.

ვერც ამისი სამაგიერო უპასუხეს რა სოკრატს.

ცილის მწამებლებმა ერთმანეთში ლაპარაკი
შექმნეს და ბოლოს სთქვეს: — სოკრატი იმიტომ
მიგვაჩნია მავნებლად, რომ იგი თავისის სწავლითა
და ქაღაგებით ახალგაზდებს ჰრივნის და ცუდს გზა-
ზედ იყენებს.

— ახალ-გაზდასაც და მოხუცებულსაც კარგის
მეტს ცუდს არაფერს ვუქადაგებდი, — სთქვა სოკრა-
ტმა. — ჩემი ქაღაგება კი ის იყო, რომ აველის კაცურად
და ლვთისნიერად ეცხოვრა. შეძლებისა-და-გვარად
ვუხსნიდი კიდეც, თუ რა არის კარგი და რა არის
ავი. ამას გარდა ყველას ვურჩევდი, რომ სიმდიურის
ძიებისა და ხორციელ ფუფუნებისათვის თავი დაენე-
ბებინათ და ყველაზედ უდიდესისა და უმაღლესისათვის,
ესე იგი სულისათვის, ეზრუნათ. ვუქადაგებდი აგრე-
თვე, რომ ეზრუნათ ხალხის სიკეთისა და ბეღნიერე-
ბისათვისაც. დღესაც ამასვე ვუქადაგებ ყველას და
არც დავიდუმებ, სანამ ცოცხალი ვარ. ამას თვით
ლმერთი მაკონებს და ამისთვის არც არავისი მეშინია.

რაც ვსოდეთ, ესეცა კმარა ჩემ გასამართლებლად. ზოგსავით ბევრს არ ვილაპარაკებ და ნათესავებსა და ნაცნობებს არ მოგიყვანთ, რომ იმათ თავი შეგაბრალონ და ჩემთვის პატიება გთხოვონ. ქვისა და ხისაგან არა ვშობილვარ, მეც ადამიანი ვარ და მყავს ნათესავნი და ბევრი ჩემთვის თავდადებული მეგობარი. მყავს აგრეთვე ცოლ-შვილიცა, მაგრამ ჩემდა საშველად არც ერთს არ მოვიწვევ, იმიტომ რომ ეს მართლ-მსაჯულების დამამცირებელი იქნება. ხოლო მართლ-მსაჯულებამ სიბრალულის გამო სიმართლის სასწორი არ უნდა გაამრუდოს და ყველაფერი სინიდისის მიხედვით უნდა განსაჯოს და განასამართლოს.

მსაჯულებმა თათბირი შექმნეს და თითქმის ნახევარმა ნაწილმა სოკრატი უდანაშაულოდ სცნო; მაგრამ, რადგან თვით მსაჯულებშიაც ბევრი ერია სოკრატის წინააღმდეგი, ამიტომ დასძლიეს სოკრატის მომხრეებს და ძალად ალიარებინეს დამნაშავედ.

— თუ დამნაშავეა, მაშ სიკვდილით უნდა დაისაჯოსო, — დაიგრიალა სოკრატი სცილის მწამებელთა გროვამ.

— თქვენ ჩემს სიკვდილით დასჯას თხოულობთ, მაგრამ მე კი კანონი ნებას მაძლევს სხვა სასჯელი ავირჩიო, — სთქვა სოკრატმა: — ნება მაქვს სიკვდილის მაგიერ მთელი სიცოცხლე ციხეში ყოფნა ავირჩიო, მაგრამ რა სასარგებლო იქნება ან ჩემთვის და ან სხვისთვის ჩემი ციხეში ჯდომა? იმისი ნებაც მაქვს, რომ სხვა ქვეყანაში გადავსახლდე, მაგრამ ჩემისთანა

მოხუცისათვის რა დროსია უცხო ქვეყანაში სიარული და ტანტალი. კანონი იმის ნებასაც მაძლევს, რომ ჯარიმა გადავიხადო და სიკვდილისაგან თავი დავიხსნა. მართალია, მე არა მაქვს შეძლება, მაგრამ ისეთი ერთგული მოწაფენი მყავს, მაგალითად, პლატონი, კრიტონი და კიდევ ბევრი სხვები, რომ დიდის სიხარულით იკისრებენ ჩემ მაგიერ ჯარიმის გადახდას. თანახმა ხართ, მსაჯულნო, თუ არა? — იკითხა სოკრატმა.

მსაჯულებმა ვერაფერი ვერ უპასუხეს, სოკრატმა ისევ განაგრძო სიტყვა:

— რომ გული წმიდა არა მქონდეს და მართლა დამნაშავე ვიყო, მევე დავსჯიდი ჩემს თავს, მაგრამ რა ვქნა, სინიდისი წმიდა მაქვს და სრულიად არაფერში არ მამხელს. ან კი რაში უნდა მამხილოს? არავისათვის ცუდი არ მიქმნია, პარიქით, რაც შემეძლო, ერთგულად და თავგამეტებით ვემსახურებოდი ჩემს სამშობლოს. სამართალი მოითხოვდა, ამისთანა სამსახურისათვის მეც ისე ვყოფილიყავ დაჯილდოვებული, როგორც სხვა სამსახურში მყოფნი, მაგალითად, ამ მოხუცების დროს გეზრუნათ ჩემთვის სარჩო და საბადებელი, მაგრამ თქვენ, მოქალაქენო, ჩემის მტრების ხმას აჰყევით და დაივიწყეთ ჩემი ერთგული და თავ-გადადებული სამსახური.

მსაჯულებმა სოკრატის სიტყვა იუკადრისეს და ერთმანეთს უთხრეს: რა მაგისი საქმეა, რომ გვარივებს, ასე და ასე უნდა მოქცეული ავითო. ჩვენ

თვით უიმისოდაც ვიცით, სად როგორ მოვიქცე-
თ.

— თქვენც ისე ყურს უგდებთ სოკრატს, თითქო
გინდათ, იმისი მოწაფენი გახდეთო, — უთხრეს მსაჯუ-
ლებს სოკრატის მტრებმა.

— მართლაც და რაღას ვაჭიანურებთ საჭ-
მეს! — სთქვეს მსაჯულებმა. ცოტა ხანს ითათბირეს
და გადასწყვიტეს: სოკრატი სიკვდალით დაისაჯოს,
და საწამლავი დალიოსო.

სოკრატი სრულიადაც არ შეშფოთებულა, დინ-
ჯად მოისმინა განაჩენი და მსაჯულებს უთხრა:

— ძალიან სამწუხაროა თქვენი ასეთი განჩინება.
სამწუხაროა იმიტომ, რომ მართალსა და უდანაშაულო
კაცსა მსჯით, სიცოცხლეს მისპობთ და ასეთის მძიმე
დანაშაულობით თქვენს თავსაც ირცხვენთ და მთელს
სამშობლოსაც ამცირებთ. მერე რისთვის მსჯით?
მსჯით იმიტომ, რომ მალე თავი დააღწიოთ ჩემს სა-
მართლიანს მხილებასა და საყვედურს თქვენის უმარ-
თებულო ჭკევისათვის. მერე რა საჭირო იყო ჩე-
მისთანა მოხუცებულის კაცის სიკვდილით დასჯა? ხომ
მაინც მალე მოვკვდებოდი და მოგშორდებოდით.
რა გეჩქარებოდათ, დამაცდიდით ცოტას!

„ერთი სიკეთე მაინც მიყავით. როცა ჩემი შვი-
ლები წამოიზდებიან, დაარიგეთ და ასწავლეთ ის,
რასაც თქვენს შვილებს ვასწავლიდი. თუ რომ შე-
ნიშნოთ იმათში სიმღიღრის სიხარბე და პატივის მო-
ყვარება, ამხილეთ და უსაყვედურეთ ისე, როგორც

მე ოქვენს შვილებს ვექცევოდი. ამითი იმათაც დიდს სიკეთეს გაუწევთ და მეც ჩემის სამსახურის სამაგი- ეროს გადამიხდით. ახლა კი მშვიდობით! გესალმებით და გეთხოვებით აველას. ოქვენ ცოცხალნი რჩებით, ხოლო მე უნდა მოვკვდე. სიკვდილის შემდეგ ვის ექნება უაღრესობა და უპირატესობა, ამას-კი ღმერთი დაგვანახვებს.

XI

სოკრატი საპყრობილები.



აშინდელის წესით, სოკრატი მეორე დღესვე უნდა დაესაჯათ, მაგრამ დღესასწაულები იწყე- ბოდა და რადგან ამისთანა დღეებში კაცის სიკვდილით დასჯა ცოდვად მიაჩნდათ, სოკ- რატი დროებით ციხეში ჩასვეს.

ციხეში სოკრატთან ყოველ დღე მიღიოდნენ მისი მოწაფენი და ისმენდნენ მის სწავლა-მოძღვრე- ბას. მარტოობის დროს სოკრატი ლექსებსა სწერდა და არავითარი შიში და მწუხარება არ ეტყობოდა.

გავიდა ერთი თვე და ის იყო დღესასწაულებიც თავდებოდა. სოკრატის მოწაფენი სწუხდნენ და გლო- ვობდნენ, ენანებოდათ საყვარელის მოძღვრის დაკა- რგვა და ალარ იცოდნენ, რა ექნათ. ბევრის ფიქრისა და მწუხარების შემდეგ გადასწყვიტეს: საპყრობილის მცველი მოვისყიდოთ, გამოვიყვანოთ ლამე სოკრატი და უცხო ქვეყანაში გავაპაროთო.

ორი დღე-ლა იყო კადევ დარჩენილი. მოწაფე-
ებმა საჩქაროდ ამოირჩიეს მათივე ამხანაგი, სახელდობრ
კრიტონი და დაავალეს, ხვალ დილა-ადრიანად სო-
კრატთან შედი და ჩვენი განზრახვა შეატყობინეო.

კრიტონს მეტის სიხარულისგან მთელი ლამე
არა სძინებია. გათენდა თუ არა, კრიტონი ციხეში
შევიდა, მაგრამ სოკრატი მძინარე დახვდა.

— ღმერთო, რა ტკბილადა და მოსვენებით სძი-
ნავს! ნუ თუ არ აწუხებს სიკვდილის დარღი! ამის-
თანა მდგომარეობაში მყოფს კაცს ასე მოსვენებით
როგორ უნდა ეძინოსო! — სთქვა კრიტონმა და იქვე
საწოლის გვერდით ჩამოჯდა.

ამ დროს სოკრატმა თვალები გაახილა და გა-
უკვირდა, იმის გვერდით კრიტონი რომ დაინახა.

— ეტყობა, დიდი ხანია გათენებულა. რატომ
არ გამაღვიძე, კრიტონ? — ჰერიტა სოკრატმა.

— არა, ჯერ აღრეა, მზეც კი არ ამოსულია, —
მიუგო კრიტონმა. — მე გამაოცა მოძღვარო, შენმა
აუშფოთებელმა და მოსვენებულმა ძილმა. შენს მა-
გიერად მე მესიამოვნა, ასე უდარდელად რომ გნახე.
ყოველთვის მაოცებდა შენი სიმშვიდე და სიწყნარე,
მაგრამ იმას კი ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამისთანა ყო-
ფაში არ შეიცვლებოდი და ისევე მტკიცე დარჩებოდი.

— გეტყობა, ჯერაც ვერ გიცვნია კარგად შენი
მოძღვარი! — ღიმილით უპასუხა სოკრატმა. — რისთვის
მოსულხარ ასე დილა აღრიანად? იმისთვის ხომ არა
რომ ჩემი მოსვენებული ძილი გენახა?

— არა, — მიუგო კრიტონმა, — მოვედი იმიტომ,
რომ ჩეცა და ჩემს ამხანაგებს ერთი რაზ სათხოვარი
გვაქვს შენთან.

— აბა სთქვი, რა?

— ისა, რომ ჩვენ განვიზრახეთ საპყრობილიდ-
გან ჩემად გაგაპაროთ. სოკრატმა სახე შეიჭმუხნა
და კრიტონს უკმაყოფილოდ შეხედა.

— გამიგონე, მოძღვარო, — განაგრძო კრიტონმა,
შენც ხომ კარგად იცი, რომ სრულიად უდანაშაუ-
ლოდ გსჯიან. შენ კიდევ ბევრი სიკეთისა და სარ-
გებლობის მოტანა შეგიძლიან ხალხისათვის. სხვა არა
იყოს რა, შენი წვრილი შვილები მაინც შეიბრალე.
შეგვიბრალე ჩვენცა და უარს ნუ გვეტყვი. ჩვენ ყვე-
ლაფრით მზადა ვართ: საპყრობილის მცველს მოვი-
სყიდით, ტანისამოსს გამოგიცვლით, გამოგიყვანთ
საპყრობილიდგან და ერთს მახლობელს ქვეყანაში
გაგაპარებთ. იქ ბევრი ნაცნობები გვყავს და ყველანი
დიდის სიხარულით მიგიღებენ. მერე შეგიძლია შენი
შვილებიც ჩქწაიყვანო და შენთანვე აღზარდო. ფული
თუ დაგჭირდება, მაგისი ნუ გეფიქრება. კარგად იცი,
რომ დიდი შეძლება მაქვს და არც მე და არც ჩემი
ამხანაგები შენთვის არათერს დავზოგავთ; არ დავ-
ზოგავთ იმიტომ, რომ შენ ყველაფერს გვირჩევნიხარ.
ერთი სიტყვით, ყველანი გეხვეწებით და გემუდარე-
ბით, რომ დაგვთანხმდე და უარი არ გვითხრა.
ბევრის ფიქრის დროც ალარ არის, სულ ერთი
ლამე-და დარჩენილა სიკვდილით დასჯამდე.

კრიტონი თან ეხვეწებოდა და თან მწარედ სტიროდა, მაგრამ ვერც ხვეწნამ და ვერც ტირილმა სოკრატის გული კერ შესცვალა. სოკრატის სიმტკიცემ და სახის შეუცვლელობამ კრიტონს იმედი გადაუწყვიტა და ლაპარაკი შესწყვიტა.

— გმადლობ, ჩემო კრიტონ, — უთხრა სოკრატმა. ვიცი, გულკეთილი ხარ და მაგ შენის გულკეთილობისა გამო მირჩევ ციხიდამ გაპარვას. ისიც ვიცი, რომ უველას ძლიერ გიყვარვართ, მაგრამ რა ვქნა! კაცი მარტო ერთმა გრძნობამ არ უნდა შეიპყრას და დაიმორჩილოს. მთელი ჩემი სიცოცხლე სიმართლეს ვემსახურე და ახლა რომ ციხიდამ გავიპარო, ეს ხომ პირდაპირი ლალატი იქნება ჩემ მიერ ქადაგებული სიმართლისა და გადათქმა ჩემის ნათქვამის სიტყვებისა. სასამართლოში ვსთქვი, რომ მსაჯულთა გარდაწყვეტილებას დავემორჩილები და სიკვდილს არ შევუშინდები მეთქი. ეხლა რომ გავიპარო, რას ემსგავსება ჩემი ქცევა? მაშინ სიმართლის მქადაგებელი კი არა, მატყუარა ვიქნები და ამიტომ თქვენც არ უნდა მირჩიოთ ციხიდამ გაპარვა.

კრიტონი დაფიქრდა, მოეშონა სოკრატის, ნათქვამი სიტყვები, მაგრამ მაინც ენანეპოდა საყვარელი მოძღვარი და გული არა სთმობდა. გადამეტებულმა სიყვარულმა დასძლია, და უთხრა სოკრატს:

— ვინც გიცნობს, იცის კიდეც, რა კაციცა ხარ. შენ მხოლოდ იმისთანა კაცებს მოატყუებ, ვინც ასე უსამართლოდ მოგექცნენ. ამათ მეტს უველას გაეხარდება და ესიამოვნება შენი გადარჩენა.

— არა, კრიტონ, — გადაწყვეტით უპასუხა სოკ-
რატმა. ასეთი ქცევა სინიდისის წინააღმდეგი იქნება
და ამასთან, არა თუ მარტო მტრები, არამედ მთელი
ხალხი ჩემგნით მოტყუებული შეიქმნება. ჩემი ქადა-
გება სულ ის იყო, რომ კაცი სიმართლის გზას უნდა
დაადგეს მეოქი. თუ ჩემი ნაქადაგევი მევე არ შევას-
რულე, ვინდა დაერწმუნება ჩემს სიტყვას? ვსთქვათ,
მტრებს გავეძეცი და დავიმალე, მაგრამ სინიდისს
სადღა დავემალო? არა, ჩემო კრიტონ: უკეთესია,
თავი დაანებო შენს განზრახვას. ნუ შევუშინდებით
ნურავითარს განსაკრელს და რაც თავს გარდაგვხ-
დება, ყოველივე მოთმინებით ავიტანოთ.

კრიტონი გულ-დაწყვეტილი უკანვე დაბრუნდა
და ყოველივე უამბო თავისს ამხანაგებს.

XII

უკანასკნელი საუბარი სოკრატისა.



ათენდა უკანასკნელი დღეც სოკრატის სიცო-
ცხლისა. მაშინდელის კანონით, იგი მზის
ჩასვლამდე უნდა დაესაჯათ. დალონებულნი
და შეწუხებულნი მოწაფენი გათენების უმაღვე შეი-
კრიბნენ საპურობილის კართან. საპურობილის მცველი
ვამოვიდა და უთხრა მოწაფეთ: ცოტა დაიცადეთ,
სოკრატის ბორკილსა ხსნიან და ახლავე შეგიყვანთო.

გააღეს კარები და მოწაფენი საპურობილები
შევიდნენ. სოკრატი ლოგინზე იწვა და ჯერ კიდევ

ბორკილსა ხსნიდნენ. თავისი მეულლე გვერდით ედგა და ხელში ეჭირა უმცროსი შვილი. ქალმა მოწაფენი რომ დაინახა, გული აუდუღდა და გულ-საკლავი ტირილი და ლრიალი მორთო. წაიშინა თავში, იწყო თმის წერვა და ლოყების გლეჯა. სოკ-რატმა მოწაფეებს სთხოვა, რომ ქალი სახლში წაე-ცვანათ. შემდეგ სოკრატმა მოინდომა ლოგინიდვან წამოდგომა, მაგრამ მუხლები ისევ მალე ჩაეკეცა, რადგან ფეხები ბორკილისაგან დაწყლულებული და დამძიმებული ჰქონდა. შემდეგ ფეხები ხელით დაი-ზილა და ცოტაოდნად დაუამდა.

— აი, ხომ ჰქონდავთ, რომ ყოველს ტანჯვასა ნუგეშიც თან მოსდევს, — უთხრა მოწაფეებს სოკრატმა. — ამდენი ხანი ბორკილისაგან ფეხები მტკიოდა, ახლა, როცა ამხსნეს, შვება და მოსვენება ვიგრძენი.

მოწაფენი გარს შემოეხვივნენ სოკრატს, უნდოდათ ეთქვათ რამ, მაგრამ მოსალოდნელ უბედურების გამო ტირილად გადაჭცეულიყვნენ და სიტყვის თქმას ვეღარ ახერხებდნენ. სოკრატი მიხვდა მოწაფეთა აუტანელს მწუხარებას და უთხრა იმათ:

— ვხედავ, ჩემო მეგობრებო, გენანებათ და გაწუხებთ ჩემი დაშორება; მაგრამ რა ვქნა და რით განუგეშოთ? აი მე თვითონ შემომხედვეთ: არავითარი ცვლილება და მწუხარება არ მატყვია სახეზე. ეს იმიტომ, რომ სულიერად მშვიდობასა და განუსაზღვრელს ნეტარებას ვგრძნობ. თუმცა სიცოცხლეს საპ-ცყრობილეში ვლევ და ამასთან ციხეში ჯდომა სირ-

ცხვილად მისამჩნევია, მაგრამ რა სირცხვილია სიმართლისათვის ციხეში ჯდომა და სიკვდილი? სირცხვილი იგია, ვინც ავაზაკობისა და ცუდის კაცობისათვის დაისჯება. ცილი დამწამეს და უბრალოდ მსჯიან; მაგრამ მე მაინც ყველას ვაპატიებ. ვაპატიებ იმიტომ, რომ ეს საჭმე დაუფიქრებლობით და უჭიკუობით მოუკიდათ. მე თვით ისინი შემებრალა იმათის ამ გვარის ქცევისათვის და ვუსაყვედურე კიდეც; ასე ეგონათ, ჩემის თავისს დასაზოგად ვამბობდი და ყური არ მათხოვეს. იმათი ქცევა სწორედ ბავშვების ქცევასა ჰგავს; ამასაც მაგალითით დავამტკიცებ. ვსოდა, ავადმყოფ ბავშვებთან მივიდა ერთი კაცი და იმათი ყოველივე თხოვნა და სურვილი შეასრულა. ახლა მეორე კაცი, ესე იგი, ექიმი მივიდა და ბავშვების მოსარჩენად ყოველივე ღონე და საშვალება იხმარა. როგორა გგონიათ, ბავშვები ამ ორს კაცში რომელს აირჩევენ, რომ მუდამ იმათთან დარჩეს? რაღა თქმა უნდა, იმას, ვინც ყოველივე სურვილი და თხოვნა შეუსრულა, ხოლო ექიმს კი საყვედურით მოიშორებენ და იტყვიან, რომ წამალს გვალევინებს, გარედ არ გვიშვებს და ყველაფრის ჭამა-სმის ნებას არ გვაძლევს, ერთი სიტყვით, გვტანჯავს და გვაწვალებსო. მეც ასე მომექცნენ. ვერ გაიგეს ჩემი იმათთვის ზრუნვა და სიკეთე და ავადმყოფ ბავშვების მსგავსად თავილგან მომიშორეს იმათი მკურნალი.

— სოკრატ, — უთხრა კრიტონმა, — თითოეული

შენი სიტყვა დაუფასებელია ჩვენთვის, მაგრამ გთხოვთ,
ბევრს ნულარ ილაპარაკებ. ციხის მცველმა სთჭვა,
რომ საწამლავის დალევის წინად მხურვალე და ბევ-
რი ლაპარაკი არ ვარგა, რადგან მაშინ ცოტა საწამ-
ლავი არ გასჭრის და ბევრის დალევა დასჭირდება.

— დიდი მაღლობა უთხარით ჩემ მაგიერ მცველს
ასეთის რჩევისა და დარიგებისათვის და თან სთხოვეთ
კიდევ, რომ მეტი საწამლავი დამზადოს. თუ საჭი-
რო იქნება ერთხელ-კი არა, ორ-სამხელაც დავლევ
საწამლავს. თქვენ მაგისი ნუ გეფიქრებათ, მოდით
აქ და ჩემს ახლოს ჩამოჯექით. საოქმელი და სალა-
პარაკო თქვენთან კიდევ ბევრი მაქვს.

სოკრატი ლოგინზე ჩამოჯდა და მოწაფენი ვარს
შემოუსხდნენ. ყველაზე ახლოს თეოდონი ჩამოჯდა.
თეოდონს მშვენიერი და გრძლად გადაყრილი თმა
ჰქონდა. სოკრატს ბაასის დროს უყვარდა ამ თმის
ხელში გოგმანი. ეხლაც თეოდონი მოდაბლოდ ჩა-
მოჯდა და სოკრატმა ხელები თავზედ დააწყო.

— თეოდონ, როგორ ჰქონი ქად იქნება
ხვალ ეგ შენი მშვენიერი თმა? — ჰქითხა სოკრატმა.

ბერძნებს ჩვეულებად ჰქონდათ, რომ გლოვის
დროს თმას კურეჭდნენ და მიცვალებულს საფლავში
აყოლებდნენ. სოკრატის ასეთმა კითხვამ ყველას
გული აუჩუყა, და ტირილი და ქვითინი მორთეს.

— მეგობრებო, მე სრულიადაც არ მეშინიან
სიკვდილისა. მხოლოდ იმას უნდა ეშინოდეს, ვისაც
ბილწად და უგნურად უცხოვრია.

XIII

სიკვდილი ცოტრატისა

Бოკრატი ერთ ხანს გაჩუმებული იყო; მოწა-
ფენი მოუთმენლად ელოდნენ, კიდევ იტყვის
რასმეო.

— მოახლოვდა სიკვდილის ჟამიც, — სთქვა
სოკრატმა, — ამიტომ ჩემის სიკვდილის შემდეგ სხვები
რომ არ შესწუხდნენ, წავალ და ეხლავე ჩემის ხელით
დავიბან ტანს. ოქვენ აქ დამიცადეთ და სიკვდილამდე
ნუ მომშორდებით.

სოკრატი მეორე ოთახში გავიდა და კრიტონიც
თან გაჰყვა. მოწაფენი იდგნენ სოკრატის დაბრუნე-
ბამდე და ერთმანეთს იმის მიერ ნათქვამის სიტყ-
ვების შესახებ ელაპარაკებოდნენ. თან საშინლად
სწუხდნენ და გლოვობდნენ სოკრატის საუკუნოდ
დაკარგვას.

საღამოც მოახლოვდა. საპყრობილები შემო-
ვიდნენ სოკრატის მეუღლე და იმისი მახლობელი
ნათესავები. ცოლს თან ახლდა თავისი სამი შვი-
ლიც. ამ დროს სოკრატიც შემოვიდა მეორე ოთა-
ხიდამ. სოკრატმა იწყო ყველასთან გამოთხოვება. ამ
სანახაობამ საშინლად იმოქმედა ყველაზე, აუდულდა
ყველას გული, ქალებმა საზარელი წივილ-კივილი
შეჰქმნეს, სოკრატმა ითხოვა, ქალები გარედ გა-
ეყვანათ.

— გვიბძანე, მოძლვარო, თუ რამ გესაჭიროება ჩვენგნით, — უთხრეს მოწაფეებმა. — იქნება შენის შვილების ფიქრი და დარღი გქონდეს, გვითხარი და ჩვენ ყოველსავე შენს სურვილსა და ბრძანებას დიდის სიხარულით შევასრულებთ.

— ჩემი სურვილი მხოლოდ ის არის, რომ ისე მოიქცეთ, როგორც გიქადაგებდით. მაშინ თქვენვე მიხვდებით, ვის როგორ უნდა მოექცეთ.

— მოძლვარო, გვიბრძანე რამ შენის დამარხვის შესახებ, გვიბრძანე სად და როგორ დაგმარხოთ? — უთხრა კრიტონმა.

— მაგას რად მეკითხებით? — უკმაყოფილოდ უპასუხა სოკრატმა. — განა არ იცი, რომ ჩემს სხეულს მარტო სულს ვამსახურებდი! როცა მე მოვკვდები და სული სხეულს განშორდება, სხეულს როგორც გინდათ მოექეციო, სულ ერთი იქმნება ჩემთვის.

სოკრატი ლოგინზე წამოწვა და კიდევ რაღაც უნდა ეთქვა; ამ დროს ბოქაულმა კარები შემოაღო, შემოვიდა და თან სოკრატის სიკვდილის დასჯის გადაწყვეტილება შემოიტანა.

— სოკრატ, — უთხრა ბოქაულმა, — როცა სიკვდილით დასასჯელთან შემოვდივარ და იმათის დასჯის გადაწყვეტილება შემომაქვს, ყოველთვის გინება-ლანძლვით და წყევა-კრულვით დამიხვდებიან; ხოლო შენგან ამას არ მოველოდი და არც ახლა მოველი, იმიტომ რომ შენისთანა მართალი და პატიოსანი კაცი ჯერ ამ ციხეში არა მჯდარა. რა ვქნა,

მე ბრალს ნუ დამდებ ნურაფერში და სხვებში ნუ გამრევ. შენც კარგად იცი, როგორის მორიდებითა დი მოწიწებით გექცეოდი ყოველთვის. მშვიდობით! ეცადე, რომ მხნედ აიტანო ის სასჯელი, რომ-ლის შეცვლაც ჩემზეარ არის დამოკიდებული. — სთქვა თუ არა ეს ბოჭაულმა, თვალებზე ცრემლი მოაწვა, თავი ვეღარ შეიძიგრა და უკანვე გაბრუნდა.

— შენც მშვიდობით, — მიაძახა მიმავალს ბოჭა-ულს სოკრატმა. — ყველაფერს ისე აღვასრულებ, როგორც კანონი თხოულობს. ოჰ, რა კარგი კა-ცია! — უთხრა მოწაფეებს სოკრატმა. — ხშირად მოდიოდა ჩემთან და გულ-მოდგინედ ყურს უგდებდა ჩემს ქადაგებას. მეტის-მეტად ვებრალებოდი და გული შესტკიოდა ჩემთვის. ახლა კი დროა, ჩემო მეგობრებო. უთხარით, რომ მოიტანონ საწამლავი.

— რადა სჩქარობ, მოძლვარო, — უთხრა ერთმა მოწაფეთაგანმა. — მზის ჩასვლას ჯერ კიდევ ბევრი აკლია. სხვები მზის ჩასვლის შემდეგაც სვამენ საწამ-ლავს, იმიტომ რომ უფრო დიდს ხანს დასტკენენ ნათესავებთან ყოფნით.

— რა ვუყოთ მერე? — სთქვა სოკრატმა. — სხვებს დიდ რამედ მიაჩნიათ რამდენიმე წამით შეტი სიცოც-ხლე, მე კი აღარ ვახანგრძლივებ საქმეს, იმიტომ რომ ჩემი სიცოცხლე ახლა გათავებულია კიდეც. უთხარით, რომ დროზეთ მოიტანონ საწამლავი.

ერთმა მოწაფეთაგანმა საპყრობილის მცველს ანიშნა და საწამლავი მოატანინა.

— გმადლობ, ჩემო მეგობარო, — უთხრა საწამლავის მომტანს სოკრატეა. — ახლა მითხარი, როგორ უნდა მოვიქცე და საწამლავი როგორ უნდა დავლიო?

— საწამლავის დაღვევის შემდეგ იმდენი უნდა იარო, სანამ ფეხების სისუსტეს და სიმძიმეს იგრძნობ, — უპასუხა მცველმა. — ფეხების დასუსტება და დამძიმება კი იმისი ნიშანი იქნება, რომ საწამლავის ძალამ გასჭრა და მაშინვე ლოგინზე უნდა წამოწვე.

სოკრატმა აიღო თასში მომზადებული საწამლავი და სრულიად სახე შეუცვლელად დალია.

მოწაფენი მთელი დღე ძლივს-ძლივობით თავს იმაგრებდნენ, ახლა კი ვეღარ გაუძლეს ამ სანახაობას და ხმა-მაღლა ტირილი მორთეს.

— აბა რას სჩადიხართ, ჩემო მეგობრებო! — უთხრა მოწაფეებს სოკრატმა. — ცოლ-შვილი და ნათესავები მოვიშორე, რომ არ მეყურებინა იმათის სულმოკლეობისათვის და თითქმის თქვენც იმათსავით იქცევით. განა ეგრე გწამთ და მიგაჩნიათ ჩემი ნათქვამი და ნაქადაგები?!

ერთმა მოწაფეთაგანმა, სახელდობრ აპოლოლოდორმა, ტირილით უთხრა სოკრატს:

— ვსწუხვარ, რომ უდანაშაულოდ გსჯიან!

— მაშ დანაშაულისათვის რომ დავესაჯე, განა უკეთესი იქმნებოდა, ჩემო საყვარელო აპოლოლორ? — ლიმილით უპასუხა სოკრატმა.

სოკრატმა მცველის დარიგებისამებრ საწამლავის შემდეგ იწყო თთახში სიარული. ბოლოს იგრძნო

კიდევ ფეხების სიმძიმე და სისუსტე და ლოგინზე
წამოწვა. მოწაფენი სოკრატს გარს შემოეხვივნენ.
მცველმა სოკრატს ფეხზე თითი დაჭირა და ჰქითხა:

— გრკივა თუ არაო?

— არაო, — უპასუხა სოკრატმა.


მერე კიდევ ცოტა ზევით დაჭირა თითი მცვე-
ლმა, მაგრამ სოკრატმა ვერც იქ იგრძნო ტკიფილი.

— ეს იმისი ნიშანია, — უთხრა მოწაფეებს
მცველმა, — ოომ სხეული თან და თან ცივდება და
როცა გულამდის მიაღწევს, მაშინ გარდაიცვლება
კიდეცაო.

— ვკვდები, მეგობრებო... ღმერთს მადლობა
შესწირეთ!.. — წამოიძახა სოკრატმა.

მოწაფენი მისცვივდნენ, დაუწყეს სოკრატს
ბრუნება და ძახილი, მაგრამ ამაռდ... იმათი საყვა-
რელი და მანუგეშებელი მოძღვარი გარდაცვლილი-
ყო კიდეც...

აი ასეთი იყო ცხოვრება და სიკვდილი ფილო-
სოფოსის სოკრატისა. იგი მოკვდა, მაგრამ იმისი
სწავლა და მოძღვრება საუკუნოდ დარჩა მთელს
კაცობრიობას. იმისი მოწაფენი შემდეგაც ქალაგე-
ბდნენ და ავრცელებდნენ სოკრატის სწავლა-მოძღ-
ვრებას. იმათვე აღგვიწერეს და შეგვინახეს სოკრატის
ცხოვრების ისტორიაცა. სოკრატი სცხოვრებდა
ოთხასის წლის წინად ქრისტეს შობამდე.



ბრძნული სიტყვები

სხვა-და-სხვა წიგნებიდამ გამოკრებული

ვინც უფალს შეჰერის, იმედიც უნდა ჰქონდეს,
რომ თავისს საწადელს მიიღებს.

სიბრძნის დასაბამი უფლის შიშია.

მოიგე სიბრძნე და მოიპოვე მეცნიერება. თუ
ამას არ დაივიწყებ და არ დასტოვებ, ამ სიბრძნე-მე-
ცნიერებისაგანვე ყოველთვის დაცული იქნები.

ბოროტებაში გართულს სულს სიბრძნე ვერ მიე-
კარება.

ოქროსა და ვერცხლის შეძენას ბევრადა სჯობს
სიბრძნისა და გონიერების მოპოვება.

კაცო, მდიდარო, არ დაივიწყო სახარების სიტყვები:
„იმ ქვეყნად ყველაფერი გქონდა, იშვებდი და იხარე-
ბდიო, აქ ალარაფერი გაქვს, სწუხხარ და იტანჯებიო“.

კარგი შვილი დედ-მამის გამხარებელია.

ბრძენი ცოლი ოჯახის ამშენებელია, სულელი
კი დამრღვევი და დამამხობელია.

დაუახლოვდი ბრძენს და შენც ბრძენი შეიქნე-
ბი. სულელთან დაახლოვება-კი შენც გაგასულელებს.

დედ-მამის არ ჰატივის-მცემელი სირცხვილსა და
ყველრებას ვერ გადაურჩება.

სულელი შვილი დედ-მამის დამღონებელი და
შემაწუხებელია.

მხნე დედა-კაცი თავისი ქმრის გვირგვინია.

რამდენადაც სიტყვა ძვირია კაცი, იმდენად ნაკლებ სისულელის მთქმელია.

შიში უფლისა სულსა და გულს ახარებს და ადამიანს დღეგრძელობას ანიჭებს.

ისა სჯობია კაცი შრომისაგან გაცვლეს, ვიდრე უქმობით ობი მოეკიდოს.

ქებამ არ უნდა გავიტაცოს და არც ძაგებამ უნდა შეგაშინოს.

პატიოსანი კაცი მარტო კარგს აქებს, სულელიკი ყველაფერს.

ზნე წამხდარი კაცი იმას აქებს, რაც ავი და ბოროტია.

როცა კარგის წიგნის კითხვას ვათავებთ, ასე გვგონია, კარგსა და კეთილს მეგობარს ვეთხოვებითო.

უკეთესი იყავი და უბედნიერესი იქნები.

სარწმუნოება ადამიანთაგან ნატკენის გულის მკურნალია.

ჰკვიანი კაცი მალე წახდება, თუ ჰკუასთან ხასიათის სიმაგრეც არა აქვს.

კარგი ჰქმენი და კარგის ქადაგებაც ის იქნება

ქრისტეს მცნება მთლად და უნაკლულოდ რომ აღსრულდეს, მთელი ქვეყანა სამოთხეს დაემსგავსებოდა.

ვინც ყიდულობს იმას, რაც არ უჭირს, ის მალე გაჰყიდის იმას, რაც საჭიროა.

ვინც ხბო მოიპარა, ის ხარსაც მოიპარავს.

ვინც ბევრს გპირდება, იმას ნაკლებად უნდა ენდო.

სიბერის დროს იმას მოიმკი, რაც ახალგაზლობის დროს დაგითესია.

როგორც რკინა რკინით გაილესება, კაციც ისე გაილესება და განიმახვება გონება-მახვილის კაცისაგან ულმრთო და უსჯულო კაცი გამოუკიდებლად გარბის, ხოლო მართალი კი ყოველთვის ლომივით მტკიცედ და გაბედულად სდგას.

კეთილი ცოლი დიდი სიკეთე და მაღლია კაცი-სათვის და, ამისთანა ცოლი რო მოიშოროს-კი, დიდი უბედურება იქნება იმისათვის.

სიჭაღარე დიდების გვირგვინია იმისთანა კაცი-სათვის, ვისაც სიმართლით და პატიოსნად უცხოვრია.

უფალი მართლის ლოცვას ისმენს, ხოლო უკე-თურისაგან კი შორს არის.

სიმართლით ცოტა მოგებული უმჯობესი და უფრო სასახელოა უმართებულო გზით მოგებულზე.

მართალი კაცის სახელი ყოველთვის კურთხევით იხსენიება, ხოლო არა წმიდისა კი ზიზლითა და წყე-ვა-კრულვით.

საშინელებაა კაცისათვის და საძაგელია ღვთი-სათვის უმართლო სასწორი და საზომი.

მრავალს სიმღიდრესა და ოქრო-ვერცხლზე უმჯო-ბესია ადამიანისათვის კარგი სახელი.

ვინც თავისს მოძმეს სამარეს უთხრის, პირველად თვითონვე ჩავარდება.

მრავალს სიმღიდრესა და თან შფოთიანს ცხოვრებას ბევრადა სჯობიან ცოტა ქონება და ღვთის შიშით ცხოვ-რება.

ერთი თევზი წვანილი და სიყვარულით ცხოვ-რება სჯობს გასუქებულ ხარის ხორცია და თან შური-ანს ცხოვრებას.

სარჩო ძუნწის კაცისათვის ბატონია, გონიერი-
სათვის-კი მსახური.

როცა სხვას ვასწავლით, იმავე დროს ჩვენცა
ვსწავლობთ.

ფილოსოფოს დიოგენს ჰერიტეს: რა უფრო სა-
მძიმოა დედამიწისათვისაო. დიოგენმა უპასუხა: უს-
წავლელი, უწვრთნელი და უსინდისლ კაციო.

ის დრო, რომელისაც სწავლისათვის არა ვხმა-
რობთ, დაკარგულია ჩვენთვის.

თუ არ აკეთებ, მაშ უნდა აფუჭებდე, და თუ
აფუჭებ, შენც უნდა გაფუჭდე.

საქმის სრული და ნაყოფიერი კეთება ის არის,
ვინც სხვისას და თავისას ერთნაირის ხალისით აკე-
თებს.

ჭიკვიანი კაცი არც თვითონ იტყვის სისულელეს
და არც სხვის სულელობას დაუგდებს ყურს.

ფული ბატონად არ ვარგა და მოსამსახურედ-კი
მეტად კარგია.

გაწიწმატება და გაჯავრება, სისუსტისა და ულო
ნობის ნიშანია.

უბედურება სულ-მოკლე კაცის დამამხობელია,
დიდ-სულოვანისა-კი, აღმამალლებელი.

შეუძლებელის ნატვრა ჭიკუის სნეულებაა.

ყველაზე უბედური კაცი ის არის, ვინც ყვე-
ლაზედ ბევრს აუბედურებს.

მ. შარაძესა და ამხა-ცეკვის სტამბის გამოცემული წიგნები:

ფილოსოფოსი სოკრატი, მესამე გამოც, ფასი. 5 „
ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა, მესამე გამოცემა,
ფასი 5 „
ცხოვრება წმიდისა, მოწყალისა და მართალის ფილარეტისა,
მესამე გამოცემა, ფასი 5 „
ცხოვრება შვიდთა ყრმათა ეფესელთა, მესამე გამოცემა, ფასი 5 „
ცხოვრება წმ. დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა, მესამე გა-
მოცემა, ფასი 5 „
ცხოვრება წმ. ქალწულ-მოწამისა თებრდნესი, მ. შარაძის-მიერ
ქართულიდამ გადმორებული, მეორე გამოცემა, ფასი 5 „
ცხოვრება თეოდორე-ჯვარ მტვირთველისა, მეორე გამოცემა,
ფასი. 5 „
სიბრძნე ბალავარისა. პირველი გამოცემა ფასი 10 „

წეალ-წმინდის ქმრის გამოცემული წიგნები:

ანბანი მხატვრობით და ლოცვანი, ფასი 5 „
ცხოვრება ქალწულ-მოწამისა პარასკევას, შარაძის-მიერ გად-
მოცებული, მეორე გამოცემა ფასი. 5 „
ფაბიოლა, ანუ უწიხდელი ქრისტიანები, ა. ნიკიტინის თარგ-
მანი, მეორე გამოცემა ფასი 5 „
ცხოვრება ღირსისა სიმონ მესვეტისა, ა. ნიკიტინის თარგმანი
მეორე გამოცემა ფასი 5 „
წმიდა იოანე მოწყალე, თ. სახოვის თარგმანი, მეორე გამო-
ცემა ფასი. 5 „
წმიდა დიდი შოწამე ეკატერინე, თ. სახოვის თარგმანი
მეორე გამოცემა ფასი 5 „
ცხლვრება ქალწულ-მოწამეთა პისტისა, ელპიდისა, ალაპისა და
დედისა მათისა სოფიოსი, ფასი 5 „
ცხლვრება ღირსისა დედისა პელაგიასი, ფასი 3 „

მონაცემის ადგენ ბარაშვილის გა

წიგნები:

ცხოვრება წმიდასა ღირსისა დედისა, მოციქულთა სწორისა და
ქართველთა-განმანათლებელისა ნინოსი შეორე გამ.ფასი 5,,
ცხოვრება წმ. ქალწულ-მოწამისა მარიშვილი, მეორე გამოცემა
ფასი 5,,

ცხოვრება ღირსისა და ნეტარისა თეოდორა, ალექსანდრიელისა
მეორე გამოცემა ფასი 5,,

ცხოვრება წმ. დიდისა მოწამისა ევსტატია, (ვლაკიდესი)
მეორე გამოცემა ფასი 5,,

ცხოვრება ქალწულ-მოწამისა და მოციქულთა სწორისა თეკ-
ლები, ფასი 5,,

ცხოვრება ღირსისა ფალექსი ღვთის ვაკისა, მესამე გამოცემა
ფასი 5,,

ცხოვრება წმ. დიდისა მოწამისა იაკობ დაჭრილისა, მეორე
გამოცემა ფასი 5,,

ყველა ეს წიგნები, დაკლებულის ფასით, ისყიდება მ-
ზარაძისა და ამხანაგობის სტამბაში, ნიკოლოზის ქუჩაზე
№ 2 ს. ქ. ტფილისს:

